

ქვეტრი სხოვრებამ

1921
სთიქსრო სლიტერატ. ჟურნალი

ფასი 20 კან.

№ 10 (13)



მ. ნინოზვილი (ინგოროყვა)



უზრნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში მიიღება

დასაბუჯდად სახელმწიფო თუ კერძო სხვადასხვა დაწესებულებათა. ხავაჭრო სახლთა, სანახადმათა და სხვათა

შინაარსი № 10 (13)

მეთაური: ა) ჩენი აღდგომა, ბ) პირველ-მაისობა, გ) პოეზიის დღე.

5. შიუკაშვილი—ქართული თეატრის რეპერტუარი.

ივ. გომართელი—მალშტრემ, წერილი 2.

ვასილ ბარნოვი—რუსთველის სიტყვა მიჯნურობაზე და ჩასახვა მის პოემისა.

ბიკტორ თევზაია—ქართული ლიტერატურა.

თ. ჯაფარიძისა—ღები.

ნინო ყიფიანისა—ჩენი თეატრის ისტორიისთვის.

ი. — ნ. ქართველიშვილი.

ა. პედიძე—სპარსეთის მწერლობა: ომარ ხაიამ.

ნ. მარიაშიშვილი—დაბინდული ფიქრები.

ნა-ში—გაზაფხულის მოლოდინში.

ანრი მიხაელ—სონეტი.


იოსებ იმედაშვილი—ნაამადართა ხსოვნას: ევ. ნინოშვილი; ს. სვიმონიძე.

ირაკლი ბოხუა—ტურა ქალები, ვოდევ. 1 მოქ. №№ —სათეატრო მიმოხილვა.

გ ა ნ ც ხ ა დ მ ბ ა ნ ი შ ე ლ ა ვ ა თ ი ა ნ ფ ა ს ე ბ შ ი

განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს რედაქციის სახელზე „თეატრი და ცხოვრება“-ს კანტორის (ყოფ. ქართული თეატრის, ან „ახალი კლუბი“-ს შესავალში, სასახლეს ქ. № 5), ფოსტით ამავე მისამართით იოსებ იმედაშვილის სახელზე. დაბა-სოფლებისა და ტფილისის გარეშე ქალაქების დაწესებულებებმა განცხადებასთან ერთად მისი ღირებულებაც უნდა გამოგზავნონ. ფასი მთელი გვერდის—50 მ. ნახევარი—30 მ., ტექსტის წინ გვ. 100 მ. განცხადებანი 1 მანეთიდან.

მიიღება ხელის მოწერა



უზრნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

წლიურად—10 მან. ვაგზავნით, ნახევარი წლით—6 მან. ხელის მომწერთ ვაგზავნება დღემდე გამოსული ნომრებით.

მისამართი: ტფილისი—რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“-იოსებ იმედაშვილს.



საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

სავაჭრო-სამრეწველო წარმოება

„ტენსო-ქიმიკოსი“

სააფთიაქო საქონლის წარმოება და ვაჭრობა.

მთავარი საწეობი და მძართველობა ტფილისში, ჰლეხ. ზროსან.

№ 106 (ე. მიხეილის ზროსან.), ტელეფ. 13-63.

განყოფილება გათიშვი, ტროცკის ქ. № 14 (ე. მიხეილის ქ.).



1910—1924

წელიწადი XIV

№ 10

შანი 20 მ. ჩიკაბაძე



„თეატრი და საზოგადოება“
ყოველკვირეული სურათებიანი
ჟურნალი.
რედაქციის დრ. მსამართი: ყოფ.
ქართული თეატრი—სასახლის ქ.
№ 5, „ახალ კლუბის“-ს შესავლში.
ფოსტით: ტფილისი, რედაქცია
„ოქატრი და ცნოვრება“,
იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, მანკაპეზა, საზოგადოებრივი სწავრება

დარსდა 1910 წ.

1 მანისი

გამოცემა 1924 წ.

ს ა ღ ლ ე ი ს ო

ჩვენის აღდგომა
ჩვენს ქვეყანის შორეულ წარსულიდან არა ერთხელ განუტკიდა ბედის ტრიალი, არა ერთი სახელმწიფო წყობილება უნახავს.

არა ნაკლებ დასცხავა სხვადასხვა ღმერთობა და ცრუმორწმუნოებამ, სარწმუნოებად აღიარებულმა.

ამისი დიდი ქრილობანი დღესაც მძიმე დაღალ აწნა ჩვენს ერს. გვარტომით, სისხლით და ნათესაობით ერთი ქვეყნის შვილნი სარწმუნოების მხრივ დავსუსტდით, დავქსაქსენით, ერთი მეორის საწინააღმდეგოდ აღვიმართენით!

და ვანა ცოტა მსხვერპლი შესწირა კაცობრიობამ სარწმუნოების სახელით!

ვანსაყუთრებით მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა გაბატონებულმა წოდებამ თვისი გაძლიერებისა და მტარეალობის იარაღად გამოიყენა:

მრავალ ათასეულ ხალხს ღმერთისა და მისი „ძის“ ქრისტეს სახელით საიქიოს ბედნიერებას აღუთქვამდა, თვითონ კი სააქაო სიამით სტკებებოდა.

ღოდებული მცნება ნახარეველ მქადაგებელისა, პირველი კომუნისტისა—იესო მაცხოვარისა ფებქვეშ გაიქელა და მისის სახელით ცრუმორწმუნოებით დაუწყეს კება ტვირთამძივით, ბეჩვ ხალხს.

რეველიუციამ დაამხო გაბატონებულთა წყობილება და მასთან ცრუმორწმუნოებით გაქლენთილი სარწმუნოება.

მაგრამ სწორაზროვნებამ ჯერ კიდევ საეგნებით ვერ გაიმარჯვა.

ცრუმორწმუნოების ფესვები ღრმადაა ხალხის სულში გამჯდარი.

აქ უნდა ვამალოს ფრთა მეცნიერება-ხე-

ლოვნებამ: ღადებთი სწავლა-განათლებასთან ერთად სახლოვნო შემოქმედებამ.

და ეს ყველაზე უმეტეს დღესა გვეჭირია, დღეს, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკურ-დასურმა თუ სარწმუნოებრივ-ჯგუფურმა მიმდინარეობამ აღმიანი დაღრნა, გააველურა.

და როცა ცრუმორწმუნოებით გაბანგული კაცუპმიური სარწმუნოება დაეშობა, ის სარწმუნოება, რომელიც ერს ერზე აღაბორგებს, ხალხს—ხალხს ამტერებს,—აღმიანის აღდგენა, ჩვენის ერის გათფლება, მშრომელი ხალხის აღღგამაც მაშინ გათენდება!

და ამ დღის მალე გათენებას გისურვებ, ძვირფასო მკითხველო!

პირველი-მისი შემდეგ, რაც ყოველი ქვეყნის გაბატონებულმა წოდებამ თავისი სვენდნიერობის ტახტი მშრომელთა ქედზე აავკო,—მთელის ქვეყნის მშრომელთა გულში პირველი მისიობა ცეცხლის ალად აღინთო.

რა არის პირველი მისიობა? შრომის სუფევის დამყარებისა და მსოფლიო მშობის სიმბოლო, ყველა ერის მშრომელთა გაერთილოვნობის ნიშანი, უკულომართობის დამამბობელი რწმენისა და კეთინის გამოხატულება.

ამ დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი კიდევ ერთხელ აღუთქვამს ურთი-ერთს, რომ იბრძოლონ იმ დრომდე, ვიდრე კაცთა შორის არ დამყარდება სამართლიანობა და სიმართლე, სიყვარული და ძმობა, წმინდა შრომის სუფევა.

ვაშა პირველ მისის, ვაშა მისი მცნების მოტრფიალეთ!



პოეზიის დღე

წლის თვეთა შორის უნახვითი და ჩვენი ეროსთვის უნეტარესი თვის მაისის დღე—შვიდმაისობა ქართველი ერის მესაიდუმლოთ, ნახ სიმთა მოწყობილეთ უქმად არ აღურჩევით თავის დღედ.

შვიდი მაისი—პოეზიის დღე!

ამ დღეს ერთის გრძნობით უნდა შეიფრთხილოს ყველამ უმაღლესი მისწრაფების—შემეწინებებისა და სიყვარულის, კაცად-კაცობისა და სრულ ქმნილობის რწმენით.

ჩვენი ერის ერთი უმაღლესი სამრეკლო, საიდანაც ზარხის გუგუნი ყველას გულსა სწედ-

ბოდა, იყო პოეზია და ამიერიდანაც ასეთად უნდა გადაიქცეს.

ამ დღეს ყველა ისინი, ვინც ქემპირიტად გამთბარია პოეზიის ცეცხლით, მშობლიურ ნიდაგზე აღმოცენილი, თავის განვლილ დღეთა ნააზრ-ნაგრძნობს ჯაშს გაუკეთებს და უფრო მძლავრად ჩამოჰკრავს ზარს წინსვლისა, ამაღლებისა და სრულყოფისა!

სალამი თანამოკალმეთ!

ქართული თეატრის რეპერტუარი

როგორი უნდა იყოს ქართული თეატრის რეპერტუარი?

1) ხელოვნება საზოგადოდ და თეატრი კერძოდ უნდა იყოს უპირველესად ყოველისა—**ჯანსაღი**.

თანამედროვე საეჭვო ღირსების კულტურა აშორებს ადამიანს ბუნებრივ ცხოვრებას და ამწყვდევს მას ყოვლად უგვანო ქალაქურ ყოფაში; ჰგლოუქს ადამიანს გაცილებით მეტს ნერვიულ ენერჯიას, ვიდრე შესაძლებელია მისი აღდგენა, სთელავს, აცლის ჯანსაღობის არაქათს. ბირჯის, გამოჩრჩენის, გროშის და სახელის ფუჟსავატი ლანდები იპყრობენ დამახინჯებულ, გემოვნება-დაკარგულ ადამიანს უზბარძე სულს და ესე ლელენდება, სნეულდება მასში ჯანსაღი უნარი მზიური სიცოცხლის შეგრძნობა-ბედნიერება! თანამედროვე კულტურა გატყენილია დიდი სწავლულობით, ფილოსოფიური ტერმინოლოგიით, აინსტიტინის თეორიებით, მაგრამ მოკლებულია უმთავრესს—**სიბრძნეს**!

დასწავლული კაცობრიობა განაგრძობს ამ გზით სვლას,—საქირაო მისი გამობრუნება, გაჯანსაღება, ხელოვნებაც, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი ამ სწეული კულტურისა, საქმრისად დასწავლულია და თავის მძლავრი ზეკავლენით ფრთებს ასხავს ადამიანის ვადაჩეხის სივრცეში. ხელოვნება უტრამილო გამოთბა არ არის; მასთან ხუმრობა არ შეიძლება. განუსაზღვრელია ჯანსაღი ხელოვნების სივრთე, მაგრამ ეგვრთვე განუსაზღვრელია სწეული ხელოვნების სიაცე! აქედან, თავის თავად ცხადია ის პასუხისმგებლობა, რომელსაც კისრულობენ ჩვენი თეატრის რეპერტუარის შემდგენელნი და მისი განმსახიერებელნი.

მაგრამ--რა არის ჯანსაღი ხელოვნება?

ეს როული საკითხია და ნის განხილვას აქ ვერ შეუდგებით, მხოლოდ ცხადია, თეატრის მესვეურებს ეს კარგად უნდა ესმოდეთ და ჰგრძნობდნენ მთელს პასუხისმგებლობას. გაკვრით შევცხებთ ერთს თანამედროვე სწეული კულტურის საშინელბას—სექსუალობის პრობლემას! ყველა ცოტად თუ მეტად

დაკვირვებულმა ადამიანმა კარგად იცის, თუ რა სწეული, მახინჯი სახე მიიღო ამ გრძნობებით პირდაპირულმა მხეცმა. ყოველი ის, რაც ხელს უწყობს ამ გაეთიბებულ ცოფიანს, უნდა ამოღებული იყოს ხელოვნებაში საზოგადოდ და სცენაზე კერძოდ! ამას გვალაპარაკებს არც მორალისტის და არც მეუღაბნავეს ფსიხიკა (ღმერთმა დაგვიფაროს!), მაგრამ უნდა აღვნიშნოთ წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი წარმოდგენა (არ ვასახელებ), რომელმაც გადღწაა საზოგადოებას ისეთი უღაზათო, ტლანქი, ავადმყოფი სექსუალობის სახეობა, გაღწაა ისეთი სწეული ექსპრესიით, წვით, მნიშობს, რომ ყვეთელი ხურუში მშამაიდა დაბრახს! ნის უტყუარ სიაცეში უფრო მეტად დავრწმუნდით, როცა ვბრუნდებოდი წარმოდგენიდან სახლში: ჭურების მისახვევ-მოსახვევებში სამ ადგილას შევხედი 17-18 წლის მოზარდ მოწყაეთა გუგუფებს, რომლებიც გასაოცარი ურცხვობით ღრიალებდნენ სცენაზე გამოტანილ ხურუშიანობის ცახცახით! რასაკვირველია, ასეთი სწეული ავბორიანობის გამოშვლება არც ხელოვნება და მით უმეტეს არც ჯანსაღი, ეს მხოლოდ ერთი მხარეა სწეული ხელოვნებისა, რომლის მრავალგვარობა ისეთივე დილია, როგორც თვით ცხოვრება. ცრემლიანობა, უიდაჯო წწუნთი, უნდლი პესიმიზმი, უხალისობა, უნათოო წმენიერების პოზეები: „ახ, რად გაჩენდი!“ „ახ, რად ვყვები!“—ყოველი ეს სილაჩრის ღულუნი განდევნილ უნდა იქნას სცენიდან! პირ იქით: გმირული სული, ვეკაცობა, იმედანობა, ხალისი, ჯანსაღი ხარხარი, აღტაცების ჯანსაღი ცრემლები, აი რა უნდა ათრობდეს სცენას!.

2) რეპერტუარი უნდა იყოს მხატვრული. ეს თავისთავად ცხადია: მხატვრობა-პოეზია მოკლებული ხელოვნება ხელოვნება აღარ არის და არც ადგილი უნდა ჰქონდეს სცენაზე, თუნდ რომ დიდი აზრების და პრობლემების მატარებელიც იყოს ნაწარმოები. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ ერთგვარი დათმობა შესაძლებელია და საჭიროც, მაგრამ დათმობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი.



3) ღერძი ჩვენი თეატრისა უნდა იყოს ეროვნულ-ორიგინალური დრამატურგია. ვისაც ხელოვნების განვითარება ესმის, ვისაც ჩვენი ეროვნული კულტურის მომავალი ენტერესება, იმისთვის ეს ცხადი უნდა იყოს და ათიოდე კაცისთვის ამის მტკიცება არ მოეყვებით. ჯერ ისევე რესკინი აფრთხილებდა ოქსფორდის სტუდენტობას: არ წავიციდნით საბერძნეთის და იტალიის ხელოვნების წაბაძვამ; დიდი შემოქმედების ცხადება შეგიძლიანთ მხოლოდ როგორც ინგლისელებს! პირველად ყოველისა ჩვენ უნდა გვიყვარდეს და ვზრუნავდეთ ჩვენი საკუთარი პირ-დაუბანელი შეიღებისთვის, თორემ ქალბატონ ივროპის კოპწია ბავშვების აღერს-ში სანაგვეში გადაყრილს ჩვენს შეღებებს ქეცი და მკებნარი შესკამს.

4) ჩვენი რეპერტუარი უნდა შევსებულ იქნას თარგმანიითაც—უუქველად! მაგრამ თარგმნილი უუქველად დიდი ღირებულებისა უნდა იყოს.

5) რეპერტუარის ნაწილი მაინც უნდა იყოს „სამრეკლოანი“. არ შეგვიძლიან დავეძაფოფილდეთ სანახაობის გათიობით და ყოველდღიური წვრილმანობის სურათხატებით; საჭიროა მაღალი დიაპაზონი, სულიერი წვის დიდი ალი, სამარადისო ლანდნების მწვერვალობით, „სიცოცხლის შემეცნობი და სიკვდილის დამპარსებელი“ მისტერიები. ნამდვილი ხელოვნება დიდი სიღრმე-სიმაღლის გრძნობებით უნდა ათრობდეს ხალხს.

ნ. შიუკაშვილი.

მალსტრემი

2*)

გრიგოლ რობაქიძის მალსტრემმა ჩვენი საზოგადოება მძლავრად აამოძრავა.

ერთგვარი ქარიშხალივით შემოიჭრა და ბაბილონის გოდოლივით აღამართა; მიადუნებული, ინერციით მმეტუტავი აზროვნება შეარხია და ყველა აალაპარაკა.

ეს უკვე დიდი ღირსებაა.

ასეთი აზრთა სხვადასხვაობა ხელოვნების დარგში დიდი ხანია აღარ მახსოვს:

ერთი აღტაცებული აქებს, მეორე გაწიწმატებული აძაგებს.

ესეც დიდი ღირსებაა.

მაქებარიც, მძაბვებელიც ორივე ერთნაირად მოდის ზეიდზედ თეატრში.

აძაგებ და მაინც მოდიხარ,—

განა ეს პიესის უდაო ღირსებაზე არ ლაპარაკობ?

აშკარაა, პიესასა ჰქონია რალაც ძალა, რაც მოწინააღმდეგესაც კი მძლავრად იზიდავს მისი სურვილის წინააღმდეგ.

ყოველ პიესას ორი მხარე აქვს: ლიტერატურული და სცენიური.

ძვირად ნახავთ ისეთ ნაწარმოებს, რომ ორივე მხარე თანასწორად იყოს განვითარებული.

არის პიესა სამგავალითა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, მაგრამ სცენისათვის უფარგისია, გამოუსადეგარი.

სამაგიეროდ არის ისეთი პიესაც, რომელიც ნაკლები ღირსების ლიტერატურას წარმოადგენს, მაგრამ სცენისათვის იშვიათია.

პიესა საკითხავად და პიესა საყურებლად სულ სხვადასხვაა არის.

თუ რამდენად სცენიურია მალსტრემი, ამას ამტკიცებს მისი ხელოვნური დადგმა ცხრა დღის განმავლობაში.

მართალია კოტე მარჯანიშვილის ნიჭს ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ თუ ავტორმა არ მისცა მასალა რეჟისორს, ისე არც მას ძალუმს ფრთების გაშლა არწივის სიმაღლითა და სიამაყით.

კოტე მარჯანიშვილი დიდი ხელოვანია, მაგრამ ზოგი რამ უსათუოდ უნდა შეასწოროს მალსტრემის დადგმაში:

1. საერთოდ პიესა ეთნოგრაფიის გარეშეა, ამიტომ ქართული ეთნოგრაფიის შეტანა უაღაგაა.

2. მეორე მოქმედებაში უნდა ვხედავდეთ თვალთ მიწას—ფიცილებელია აქ თვალის მომჭრელი ბუნება—ლანდშაფტი.

3. დასასრული უქანსკენელი მოქმედებისა გოგობების ქარიშხალს უნდა გამოსახავდეს.

რას წარმოადგენს პიესა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები?

დახვეწილი, კრიალა ენა—ზოგან ბრინჯაო, ალავ მარმარილო, ზოგან კინცხალი ნაკადული,—თავისებური, შეკუმშული სტილი, ღრმა აზრი შეზავებული ალავ იუმორით, ალავ ირონიით, დიად პრობლემათა ხლართი,—აი ყველა ეს ერთად აღებული აქანდაკებენ პიესის მაღალ ღირსებას.

პიესას არ არის გატარებული ერთი რომელიმე პრობლემა, აქ არის მოცემული რამოდენიმე პრობლემა: ფსიხოლოგიური, სოციალური, ფილოსოფიური.

ამიტომაც პიესა რთულია, მაგრამ ყოველი ხაზი იმდენად მკვეთრად არის გავლებული, რომ გაგება ადვილია მისთვის, ვისაც გონების ამხეილება უყვარს.

**

ყოველ დროს საკუთარი გაქანება აქვს, საკუთარი გემოვნება.

კერძოდ მასცენო ხელოვნებას თუ ავიღებთ, ეს გემოვნება მარტო შინაარსში კი არ ისახება, არამედ ფორმაში, ასრულებაში, ეგრედ წოდებულ არხიტექტონიკაში.

* იხ. „თეატრი და ცხოვრება“, № 9.



დრომ საშინელი სიმძაფრით გადაგვისროლა წინ; სხვადასხვა პრობლემა დღის ცხენივით მიჰქრის ჩვენს წინ და ჩვენც მივსდევთ მას.

ძველი სასცენო ხელოვნების აღარც შინაარსი, აღარც ფორმა აღარ გვაქმავყოფილებს. ახალი კი არსად არის.

საჭიროა ახალის შექმნა.

გრიგოლ რობაქიძის მალშტრემ ძიებება ამ ახალის. შეიძლება ბევრი რამ აქ მიღღებელი იყოს ბევრისათვის, მაგრამ ერთი რამ უღდაო არის: პიესა როგორც შინაარსით, ისე ფორმით, აგებულივით ახალია.

— სიყვარული და კლასთა ბრძოლა. რა არის აქ ახალი? იტყვის ზოგი.

სიყვარული და კლასთა ბრძოლა ძველია, მაგრამ ახალია ავტორის მიერ გაშუქება ამ პრობლემებისა.

პიესა ვითარდება ორი ხაზით: ხაზი ფსიხოლოგიური—სიყვარული, ხაზი სოციალური. სოციალური ხაზი ორ შტოდ იყოფა: პირველია ქალაქისა და მიწის კულტურის დაპირისპირება, მეორეა კლასთა ბრძოლა.

ეს ორი ხაზი და შტო გადახლართულია ერთმანეთში, შიგვს ჩაქაოვილი ფილოსოფიური პრობლემა ბედი. ვინც ამ ხლართს არ დაშლის და ცალკეულე არ გამოჰყოფს ყოველ ხაზსა და შტოს, ის, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვერ გაიგებს, მაგრამ ეს არის ნაკლი მაყურებელისა და არა ავტორისა.

პიესის სტრუქტურა მეტად რთულია, მასში არ არის ვაგარებული ერთი დენაზარი, არამედ შეჭრილია ზეგ რამოდენიმე დებულება და ყველა თავისებურად ვითარდება. სინამდვილეს აქ სცვლის მოჩვენება, დასაჯერებელს—დაუჯერებელი, რეალურს—ფანტასმაგორია, ტრავედი და კომიკური ხაზები, იუმორი და ირონია ერთად იშლებიან და ავტორის ნიჭის სიძლიერეც სწორედ აქ არის.

ერთი მთავარი პრობლემა არის სიყვარული. რას გულისხმობს პიესაში? ქალაქის კულტურამ, ბურჟუაზიულმა არემ ნამდვილი სიყვარული მოსპო. მან ყველანა და ყოველ სფეროში შექმნა მანქანა, ადამიანი აქცია მანქანად და სიყვარული მოათავსა მანქანაში.

ქალაქის კულტურის ერთი დამახასიათებელი წარმომადგენელი როკველერია

მორიელის შინაგანი, ნამდვილ ქალური არსება მისთვის მიუწვდომელია; მორიელაში ის ჰხედავს მხოლოდ მანქანას, რომელიც მას სჭირდება სიამოვნებისათვის. ამიტომაც არის, რომ მორიელას არც ერთი დამწყევი არ არის მასი, როდესაც მორიელა თითქმის მისა; მორიელა ერთი წუთითაც კი არ ეტუფინის მას მაშინ, როდესაც მისთან არის.

ნამდვილი სიყვარულის კვანძი ისვენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მორიელა და უცნობი ერთმანეთს მიხედებიან. სიყვარულის უმძაფრესად დაქიმება, მისი უკანასკნელ შესაძლებლობამდე და-

წურვა სწარმოებს მეორე მოქმედებაში, როდესაც უცნობი მორიელას დასკრის, რომ მოჰკლას.

— ამისთანა ამბავი ყოველდღე ჰხდება!

— ჩემმა მეზობელმა მედუნქემ თავისი ცოლი ამას წინად იტვის გამო მოჰკლა! რა არის აქ არაჩვეულებრივი!

ასეთს შენიშვნებს ვისმენდი თეატრში.

საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს მკვლელობა სრულებით ვერ გაიგო და ვერც შეიგნო.

ამისთანა მკვლელობა ჩვენს დროში არა ჰხდება, იმიტომ რომ ასეთი სიყვარული და ასეთი მტკიცე ნების ადამიანები ჩვენს დროში არ არსებობენ.

სულ სხვა მკვლელობა იტვის ან სხვა რაიმე აფექტის დროს. აქ სიყვარული დროებით იჩრდილება და წინ წამოიჭრება გრძნობა მზეცისა.

განა ამას გუდავთ მალშტრემში?

არა ამა, არაფერი ამის შვავსი!

აქ მკვლელობა ჰხდება სწორედ მაშინ, როდესაც სიყვარულის გრძნობა განსაკუთრებით მწვევე და ცხოველია.

აქ მკვლელობას სჩადის ადამიანი სწორედ მაშინ, როდესაც ის უღრესად ადამიანია.

ეს მკვლელობა ვერ გამოიწნო მაყურებლის ერთმა ნაწილმა, ვერ შეიგნო, ვერ როგორც ვერ შეიგნო ის ქალაქმა. ამოიწნო და შეიგნო ის მხოლოდ მაწის კულტურამ ბოშებმა.

სხვა მხრიდან გაშუქებას სიყვარულის ავტორი გვაძლევს მესამე მოქმედებაში, სადაც ზარიფას არსებობს ყოველმხედრის ჩრდილავს და სძლევს სიყვარული. სიყვარულის წინაშე მისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, არავითარი საფრთხე. თვით სიცივეც მისთვის უმნიშვნელო რამ არის სიყვარულთან შედარებით.

და როდესაც მოულოდნელად გაიგებს, რომ უცნობს სხვა ჰყვარებია, ერთ წამს მასში ცეცხლი იფეთქებს, მაგრამ მალე მოუბრუნდება, მოუღლებია გული და ამართლებს უცნობს,—

იმიტომ რომ მან იცის, თუ რა არის სიყვარული.

— სად არის აქ სიყვარულის ძლიერება?

მოჰკლა ერთი და ახლა მეორეს ეხვევა? გაიგონებდით მესამე მოქმედების შემდეგ.

სწორედ აქ არის სიყვარულის ძლიერება: უცნობს ზარიფაში მორიელა უყვარს, ზარიფაში ის მხოლოდ მორიელას ჰხედავს, მორიელას ეტრის და როდესაც უყვარს გაიგებს, რომ მორიელა მეტადი არ არის, ცოცხალია, ზარიფა იმწამვე ჰყარავს იმის თვალში მთელ მიწიდეგლობას.

მეოთხე მოქმედებაში სიყვარული კიდევ სხვა მხრივ არის გაშუქებული. აქ სიმძაფრე და სიმწვევე სიყვარულის გადადის ექსტაზში და ქალი შეიყვარებს უკანასკნელ განწირულთ—კეთროვანებს.

კეთროვანები მაყურებელმა ვერ გაიგო. ის ჰკითხულობდა: ნეტავი ეს კეთროვანები რას ნიშნავენო.



კეთროვანი ნიშნავს მხოლოდ კეთროვანსა. ის არის განწირული ბედისაგან, უზომოთ უბედური და დატანჯული ადამიანი.

ვის შეუძლია ასეთი ადამიანის შეყვარება? არავის. ისე როგორც არავის არ ძალუძს მუნიანი ძალის შეიყვაროს.

მაგრამ ნამდვილი სიყვარულის ძალა სწორეთ ისეთია, რომ ის კეთროვანს შეგაყვარებს, — აი რისი თქმა უნდა ავტორის.

ქვეყანა მუნიანი ძალისა და ის უნდა შეიყვაროთო, აქი ჰყვირის მორეკლა მებუთე მოქმედებაში.

მეორე მოქმედებაში ავტორი აშორებს ერთ-მანეთს ორ შეყვარებულს და შეახვედრებს ერთმანეთს უკანასკნელ მოქმედებაში.

რად დასჭირდა ავტორის ეს შეხვედრა? იმისთვის, რომ გააშუქოს სიყვარულის პრობლემა კიდევ ახალს მხრით.

სიყვარულის ტანჯვის შემდეგ შეხვედრა შეყვარებულთა იწვევს უდიდეს ზნებას, რომელმაც ორივე თუ არა — ერთი ერთი უნდა იმსვენებლოს.

და მორეკლაც ვეღარ უძლებს ასეთ განცდას, კვდება, როგორც უფრო სუსტი, ვიდრე უცნობი.

შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორის ასეთს გადაჭრას, შეიძლება უფრო მივიღოთ შოთას შეხედულება, მაგრამ ავტორის ანალოზი და გაშუქება სიყვარულის პრობლემისა მეტად თავისებურია და ორიგინალურია.

თითქმის ყველა მოქმედებაში დაპირისპირებაა ორი სიყვარულისა, „ქალაქისა“ და „მიწისა“.

ქალაქის-სიყვარული განსაკუთრებით არის გაშუქებული მეოთხე მოქმედებაში, სადაც როკფელერის სიყვარული არის მარტოოდენ ძალადობა და მრუშობა.

მაგრამ აქ იწყება გადაშლა უკვე სხვა პრობლემისა და ამაზე შემდეგ.

ივ. გომართელი.

რუსთაველის სიტყვა მიჯნურობაზე და ჩასახვა მის კოეფისა

მიჯნურობა საზენაო საქმეა მიმცემი აღმა ფრენათა საცნობელად ძნელია იგი, კვიანინიც ვერ მიხვდებოდა მას, რადგანაც მხოლოდ გონების თვალთ მის მთლად შეგნება შეუძლებელია: იგი ეკუთვნის გრძნობათა სამეფოებულს.

მარტო ის ჩასწვდება მიჯნურობას სავსებით, ვისაც ზეამალებული ბუნება აქვს და შეუძლიან დაიტოსს გრძნობა დიადი.

გონების თვალთ შეიძლება მარტოოდენ დაუხალდედს ადამიანი ამ გრძნობას, ვისი კვლის მისი თვისებები და შეუფარდოს მას თავისი ქვილობა: არ სიძნობს, შორით ბნელებოცეს; ეს მანაც არ იქმნება თვისი განცდა მიჯნურობისა, იქმნება მხოლოდ მიბაძვა მისი.

მიჯნურობის თითონაც არ შეუძლიან მხოლოდ ჰაზრით ჩასწვდეს ამ გრძნობის სიღრმეს და ჰხატოს

ღ ე ბ ი

სოფლიდან დაბრუნებულმა ქეთევანმა თავისი აღმზრდელი ქალაქი ვეღარ იცნო. განსაკუთრებით ღამით ჰიბობავს ელექტროს შუქზე: აქეთ თეატრი იწვევს, იქით კინო, აქ კოპწია კაფე, იქ ხელოვნურად აქონძული სავაჭრო, აგერ — სინაზით მიიზიდენი ყვავილნარი.. მაგრამ რამდენად გარეგნულად უქრელებს თვალებს დედაქალაქი, იმდენად შინაგონობით უწამლავს სულს: ყველაფერი ქრწაზე გამოტანილი, მთელი ქონება ადამიანის, ნიუთიერი და ზეობრივი — გაჩაღებულია ვაჭრობა სინდისის, ვაჭრობა რწმენის, ვაჭრობა ფულით...

დიად, ყოველივე შეცვლილია და ამ ცვლილებაში ყველაზე მეტად აფიქრებს ქალის ფერის ცვლა, მისი აპრიალებული სახე..

* * *

ეკლანიძის ოჯახი ბევრნაირად მიიზიდველი ოჯახთაგანი იყო, სრული გამოიხატელები ჩვენი სა-

ზოგადობის იმ შეგნებულ ნაწილის, რომელსაც ინტელიგენცია ჰქვია: უზარალო, სადა, მაგრამ ყოველმხრივ სანუქვარა... ყოველი საჭარბარტო საკითხი ჩვენი არსებობის, ყოველი ნაბიჯი, ერის საკეთილდღეობა გადადგმული, იქ გამოძახილს ჰპოვებდა. ასე იყო წინად. მაგრამ მეგობრობა შეიცვალა: რაც მის დროში მისაღები იყო, ეხლა უკუგდებულ იქნა: თვითონაც ცხოვრების გარეშე დაიჩინა. ვერ უშველა ვერც მრავალწლოვანი მოპოვებულმა გამოცდილებამ, ვერც თავდადებულმა მოღვაწეობამ. მოხუცებამო შესული მეუღლენი ლუქმა-პურის ზრუნვამ მიიცივა დ ხშირად ეს ლუქმა-პურიც არა ჰქონდათ, რამაც გარდობილან. დარწმუნობა ორი ქალიშვილი: ერთი მათგანი ქეთევანი, რომელმაც თავისი მრავლეობა ხალხის მასშაბურში დანახა და ამ მიზნით სოფელს მიაშურა, მეორე — ტასო, რომელიც ქეთევანის სოფლად წასვლის შემდეგ ათავებდა სასწავლებელს.

გავიდა ხანი... დღები ერთმანეთს გავლენას დაშორდენ.. შეიცვალა დრო და მათთან ერთად ტასომაც იცვალა ფერი. ქეთევანი ვეღარ სცოხს თავის დას: უმანკო, ცქრიალა გულუბრყვილო გო-

სიტუაციონ მისი არსება: მიჯნური შმაგია, ამ სახეანო გრძნობით შეგზრობილია ილტაყებულია, ხოლო შმაგს არ შეუძლიან მსჯელობა: ხელი ვერა იქმს ბრძნობასა.

მიჯნურობა წმიდა გრძნობაა, ტურფა, ფაქიზი, არ სიძვასთან დასადარი: ის ნათელი გულისთქმა იტყვის, მსხვერპლად მივრღვანს თავისა ჩრჩელს, თვით სიკოცხლეც შესწროის იმას; ეს ბნელი ღლევა მისიწრავით, თვით შეიწროოს იგი მეორე, სიკოცხლეც მისი. ისინი არსებითად განიარჩევიან ერთმანეთისგან, მათ შუა მზუვარი სიქვს გარდღეულია და მათი ერთმანეთში გარევა არ შეიძლება.

ყოღველი გრძნობაა მიჯნურობა. სატრფვის დათმობა, მისი თუნდ წუთიერი უარყოფა შეუძლებელია: მიჯნურის გული იმ ერისა სჯერა, სამუდამოდ თავისა ჩრჩელს, თუნდაც სხვის თვალში კუმტი იყოს იგი ამ ქუში. გონებისაგან შეგნებული ნაკლეც სატრფოსი ვერ შეასუსტებს მისადმი სწრავებას: მიჯნურობა გრძნობაა სამუდამოლოზა და გონების ხმა სუსტი არის იმის არქში.

მიჯნურობა ამის გამო ხანიერია: მოტრფოილე ველარ მისცემს დიფიქტებს თავისა სატრფოს, ვერც უილაატებს; მას არ შეუძლიან დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა; მიჯნურის არსება მხოლოდ მას ერთს ევლება თავს, ისწრავის თუნდ მსხვერპლად მიეცეს: მისთვის ჰირი ლზინად უჩანს, მისთვის ცეცხლს მოიღვას, დასათობს წყრობას მეფეთაგან; თვით სოფელსაც დასტოვებს იგი. აქვს შიში, კრძალვა მხოლოდ მისი, თვის მიჯნურობასა.

მიჯნურობა პირადი გრძნობაა. სხვა გარეშე ვერ დასწადება სხვის ტრფობის სიღრმეს, ვერ შეიგნება იმის სიტკბოს, ვერც მის სიმწარეს, ვერ გზიარებს. ამისათვის მიჯნურსა ჰამს არ დაჩენა ჰირთა, მალვა; იგი თვისსა ხვამილდას ვერავისა უშელავნებდეს; თავს ითავისწინებდეს, რომ მიეცეს

ვანუყოფლად თვის საკუთარი სულისკვეთებას. შეკმევის მიჯნურს განმარტლება, ვასკლა დაკავალული ცხოვრების წრიდან, გაჭრა, სოფლით იქმსა განიჯიება.

გამიჯნურდა ჩემი გულიც! განვიცადე სიკვდილამდინ ვასატანი ძალა ტრფობისა. ვის ჰპირიჩილეს ჯარი საათი, მისთვის ეხელობ, მისთვის მეცდარი. ამისთვის ვაქებ მზე მეფე თამარს სისხლისა ცრემლ დათხურლი: გულშიც მიბრძანა მისად საქებლად თქმა ლექსებისა ტკბილისა.

ის ჩემი სატრფო ჯიქია ჩემთვის და მთლად უწყალო; ხორცილად დამიწველი ჩემი, სულის ჩემის ამბადღებელი. მოუძღურდი მე მიჯნურობით და წამალი არსით არის ჩემის წყულულების; მიწაილა მეურნლო ჩემი, ის მესამაროს!

მიუწოთოლდა თამარ ჩემთვის: იგი მეფეა, მზე დიდებელი, ქვეყნისა მწათობ მწათობ, ბოლოს მე... ვინმე მესი მელექსე. გარან რა ვყო, ოდეს, ლხავა რომ მეცა ცნობასა და წარმტყცა გული, გონება, მთლად სული!

დიდებულის თამარის მიჯნურს ჰამს სიტურფე, ვითა მზუბა, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყრბე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეთობა, ჰპირთებს ყველა ეს სიკეთე მწათობის ტრფობას, რომ ნათელს ღვაწლით დაიომოს თვის ნეტარება და შეხადეს სატრფოს ღირსეული, გაბრწყინებელი.

მე რომ არ ვიყო რუსთაიდან ვილაც გგოსანი, არამედ ვიყო... ნეტავ მე ვიყო? ამირანი დალის შვილი ოქრის თმინის? არა! იმან ვერ შექმნა ყამარ-ქალთან კერა სანატრი. დიდებული მონადირე როსტომ განთქმული? არა! ვერ იქნო შვილი ოჯა-

გონის ნაცვლად მის წინ სდვას თავხედი, სრულიად დაცილებული იმ საფუძველს, რაზდაც მშობლიურ ჯერ ქვეშ ალიზარდა: მიელი დღე მოხეტიალე, ოჯახს მოწყვეტილი, ფუქსავატობაში ჩაფლული, აღისფერი ტუქებით, ვაგარია.—არა, ეს ჩემი და აღარაა, ფიქრობს ნაღვლიანად ქეთევანი: იგი და-შორებულია ქართველი ქალის შეგნებას, მის მოვალეობის სამშობლოს წინაშე..

* * *

დიდ დარბაზში, სადაც ტფილისიდან სოფლად ვასკლის წინა დღეებში ქეთევანი შოთას დიდებულ ნაწარმოების გარჩევას ისმენდა ადფრთივანებულ მსმენელთა ტაშის გრაილში, დღეს იქვე ქართველი ქალი თავის გამოსვლას აუწყებს საზოგადოებას: „ახალი ქალი ახალ საქართველოში“.

დარბაზი სავსეა ქალებით, სჭარბობს ახალგაზდობა, არიან მამა-კაცებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ეს საღამო ქეთევანისათვის: გარდა სათაურისა, რომელიც ეხება ქალის დანიშნულებას, მომხსენებელია ტასო, ქეთევანის და. გულის ძვირით ელის ქეთევანი გამო მოხსენებას:

და, აჰა, თავმჯდომარემ საღამო გახსნილად გამოაცხადა. ტასო შეუდგა მოხსენებას, მწვიდი კი-ლოთი, მედიდური გამო მტყველებით.

„ვინაიდან დიდმა რევოლუციამ საშინელი ნგრევა მოახდინა ცხოვრების ყოველ დარგში, მისი ახალი საძირკვლის ჩასაყრელად, ქართველი ქალიც ვერ დარჩებულა საერთო მუშაობის გარეშე, რათა განახლებულ ქვეყანაში ღირსეული ადგილი დაეკავებია. თუ დღემდის ქალის ბეჩაეი მდგომარეობა ძილს არავის უფრთხობდა, მისთვის თავს არავინ იტყენდა, დღეს მან გამოჩნა საშუალება თვით მოიპოვოს ეს საპატიო ადგილა... ამისათვის ჩვენი ჯგუფი, რომელსაც სახელად „ტალა“ ეწოდება, შერეოდება იმ რაინდულ ახალგაზრდობას, ვინც თავს იღვა ახალი რევოლუციისა შესწავლა ძველ განგრეგებზე: მოსპოს ყოველივე ის, რასაც აზის ნიშანი სიძველის, სიდაბლის, აშშობის, გაბრწყინების. ასეთია ჩვენი წარსული ცხოვრება... არ გვწამს დიდი თამარი, ვინაიდან ის კერპად არის აღიარებული,—ახალ საქართველოში ახალი ქალი სხვა შეგნებით, სხვა რწმენით მიიტანს თავის შრომის სამშობლოს საძირკვლის ჩასაყრელათ...“

„გაუმარჯოს ძველად მებრძოლ ახალგაზრდობას და მასთან ერთად ახალ ქალთა ჯგუფს—„ტალა“...“

დასრულებაც არ აცალეს, შეიქნა აურ-ზაური: ძველი და ახალი, მორწმუნე და ურწმუნო ახალი

ხიდან გარს გასულმან, გარეწარ ქნილმან და ლა-
ლატით მოჰკლა ვაჟკაცი. მაშ მერ რომ ვიყო ქარ-
თველთ ხალხში ზოარად თქმული ტარიფი გმირი,
ხოლო თამარ ინდონთ მეფის ქალი ნესტანი, მაშინ...
თავრ ტარი მაზე-ქაბუბი, გმირი უებრო. შეა-
ვლებს თვალს მზე-ქალს ნესტანსა და...

და მთელი წიგნი ოცნება შეუსწავტელი, ჩვე-
ნებით მივრალი ნიქის სიტყვა ცხოველყოფელი. ეს
სულ ბოლომდინ, ვიდრემდისინ დათავდება ოცნე-
ბის გრკალი და მიწაზედვე თვალს გაალებს აღტაცე-
ბული, კაბადონზედ ჩვეულებრივ არცებობისა.

და იტყვის მწარედ დალონებული:
ეს ყოველივე საარაკო ნატერა არის ტრფო-
ბის ნაყოფი, სრულებით არ ჰგავს სინამდვილეს,

უფსრკული რომ გაუბია ჩემს და მის შორის. ეჰ,
რაცა ვისა მედნან მისცეს, დასჯერდეს და მის
უზნობდეს! მაგრამ... გული გზნებული არ სჯერდე-
ბა თავისსა ბედსა! გული კრულია კაცისა, ხარბი
და გაუძლიომელი.

მაინც გავლექსავ საარაკო ჩემს ოცნებასა,
მწყობრად ავასხვ ობოლობოლ მარგალიტებად:
იქნებ აღიროს მოწონება ჩემსა შრომისა და... ჩემმან
ხელმეწილმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნებთ
აუსრულდა, იტყვის ხალხი, ნატერა რუსთველ-
სო, დაუმადლა დიდმა თამარმა: ძვირფასი ჯილა რომ
ამშვეენებს მის ნათელს შუბლსა, თამარ მეფის სა-
ჩუქარი არისო ისა.

ვახილ ბარნოვი.

ნ. კართველიძე



აი, ერთი უკეთილშობილესი
ჩემი უნაგარო მოღვაწეთაგანი
ქართული სცენისა, რომლის გარ-
დაცვალების ორი წლის თავი გა-
სულ კვირას შესრულდა.

ნიკოს შობლობერ მწერლობი-
(1875—1922) სა და ხელოვნების სიყვარული
ოჯახიდანვე მოსდგამდა.

მისი მამა იყო გიორგი ქართველიშვილი, რომ
ერთ ხანს გაზ. „დროება“-ს სცემდა 80 იან წლებში,
გამოსცა საუცხოოდ დ. ბაკრაძის და ვახუშტის ნა-
შრომნი და გვირგვინი ქართულ მწიგნობრობისა
დიდი დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“.

მშვიათია კაცი, რომელსაც ისეთის სათუთის
გრანობით ჰყვარებოდეს საერთოდ ხელოვნება.

იგი არ იყო მსახიობი, მაგრამ იყო უდიდესი
არტისტი, ამ სიტყვის სანუკვარ ვაგებით, იგი არ
იყო მწერალ-დრამატურგი, მაგრამ ჭეშმარიტი მო-
ყვარული მწიგნობრობის, არ იყო მუსიკოსი, მაგრამ
მისი უნაბესი ოსტატი.

გარდა პირადი უზომო შრომისა, ნიკო იმ
დროს ოთხას ხუთასი თუმანამდე შეაბმარა თეატრს.

იგი მაშინ ჰმზრუნელობდა სცენას და მის
ერთგულ მუშაკთ, როცა ქართული თეატრი მივიწ-
ებულთი, დაწიხლული იყო...

და თუ დღეს ქართულ თეატრს თამამად შეუ-
ძლია თვალი გაუსწოროს უცხო სცენებს, ამაში ნი-
კოს არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის.

მისივე ლტობარობით დაიდგა პირველი ქარ-
თული ორგ. ოპ. რ. გოგნიაშვილისა „ქრისტინე“.
საქირია რითიმე აღინიშნოს სახელი ამ ქარ-
თული სცენისა და მუსიკის რაინდის!

— არ შეაწუხებ სული! წარსული და წარსუ-
ლი! რას ჩაგვეციებინართ? გვძაგს, გვეზიზღება ეგ
წარსული ჩვენი ცხოვრების.— გააწყვეტინა სიტყვა
ქეთევანს, იქვე მყოფ ჯგუფელმა ქალმა.
— ჩვენ ვიძებთ ახალ გზებს,— განუმარტა მე-
ორემ.

— ძირს ძველი კვრამები—ილია, აკაცი...
— ჩვენ გვყავს ახალი მოღვაწენი, სხვა ერთი
მოლაპარაკება.

— დიდებული მასწავლებელნი!
— ჩვენი ღმერთები!
— საქართველოს ბევრი ღმერთი მოვლენია,—
უბასუხა ბოლშე-შორეულმა ქეთევანსა ერთბაშით
ამდგარ დარაზმულ ჯგუფს,— მაგრამ მკვიდრათ თა-
ვი ვერ უფერძენიათ, ვინაიდან ისინი მის ნიადაგს
არ დამყარებინან. ვისაც არ სურს საქართველო იწა-
მოს იმ სახით, რის გამოქანდაკებისათვისაც საუკუნოე-
ბი შეუღვევიათ მის ერთგულ შვილთ, ვისაც არ
სურს ამ ძველ მუშაკთ ანგარიში გაუწიოს, ვისაც
არ სურს მის ეროვნულ შეგნებას ემსახუროს, — შორს
ჩვენგან...

— ძველი აზრია, დახავსებული!
— დრომოქმული!
— კონტრ-რევოლიუტია!

ქადაგების ფრთიეროს შეეტაკა... აირია მონასტერი,
აჯახებენ სკამებს, ჰყვირიან.

— რის ახალი, რა ახალა? გინდათ მუშაობა
იმუშავით, რა საქირია ლამძღვა?

— გაგვირკვიეთ, რაში გამოიხატება ეს ახა-
ლი თქვენი საქმიანობა? ეკითხება მომხსენებელს ქე-
თევანი.

— აი, თუ გნებავსთ ქართული თეატრი: მან
პირველმა გადადგა ეს ნაბიჯი...

— ჰმ! თეატრი,— შენიშნა მწარე ღიმილით
ქეთევანმა,— მხოლოდ არა ქართული თეატრი, ვი-
ნიდან რა ხანია, რაც აქ ვიწყოვები და ერთი სუ-
რათიც არ მინახავს ქართველი ერის ცხოვრებიდან,
თეატრი ცხოვრების სარკეა, თუ ჩვენი დროის და-
სურათბატებით ხალხს მისი ნაკლი და ღირსება არ
ვგარძნობინეთ, რა სახით უნდა აღინიშნოს ისტო-
რიაში ჩვენი ამ დროის თეატრის აჩსებაობა.

— მაშ თქვენის აზრით, თეატრი მკავე პატ-
რიოტულ პიესებში უნდა იკვებოდეს! მოვაძეულა
თავი „სამშობლომ“ „ელაბტმა“ და სხვ.

— სრულებითაც არა! არავინ არის წინააღ-
მდეგი უცხო პიესების, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს
ხველაფერი ჩვენი ფეხით გავსთვლოთ და დიდებუ-
ლი წარსული წყალს მივსცეთ!



სპარსეთის მფერლოვა

ლზარ სვანაძე (1040-1125)

აჰა, ვცხოვრობდი ამ ქვეყანაზე და არ მინახავს დღემდე სიამე, ვიტანჯებოდი... და ვერ გავიგე სასიხარულო თუ იყო რაზე.

ვიწოდი როგორც ლამპარი ლხინის და გავეჭი შემდეგ უცემ, უკვლოდ; დავიმტვერ როგორც ფილა ლენის, უბრალო მტვერით გადავიქექ მხოლოდ.

ამ ქვეყანაზე ყოველივე არაა არის. — არაა არის თვით ქვეყანაც და საშინელი. რაც გავიგია სულ ჭორო და სიცრუე არის, — რაც კი რამ ვითქვამს ამაოა და საძაგელი.

მე მხოლოდ მიწა მომიყარევით გემუდარებით, როდესაც მოვკვდები. საფლავის ქვას კი ნუ დასდებთ ზევით არ მინდა რომ მე ვინმეს ვახსოვდე.

ჩემი ნაშთი კა — თხის ჭბრალი ღვინით მოხილეთ თქვენ მრავალ გზობათ, გემოსწვით ცეცხლში როგორც აფორი, რომ გამოაღვს დოქს თავსაცობათ.

ჩვენამდეც, ძმაო, ღამე დღეს სცვლდა და ვარსკვლავებაც ეილოდენ ცაზე.

— კუხიანს სამარე თუ გაასწორებს!

— დასტოვით, ქალაქო, დარბაზი, ჩვენ მათთან საერთო არაფერი გვაქვს!

აჩოჩქოლდენ, ლამის ერთმანეთს თვალები აპოკორტონ: ვინ მუშტებს იქნეეს, ვინ სკამებს აჯახებს...

წუთით შემკრთალი ქეთევანი გამოერკვა უტებს ავარდა ესტრადის პირველ საფეხურზე და მჭექარე ხმით გადასძახა აჩოჩქოლებულ დარბაზს:

— შეჩერდით, გზადანეთუნო! ნუ თუ მხოლოდ ღვაწლმოსილია გმობითა და ცრუმეტყველობით გსურთ ბედქრულ დაქმული სამშალო ქვეყნის აღდგენა...

— ძირს, ძირს! — შეჰყვირეს ერთხრივ ჯგუფიდან!

ქეთევანს სიტყვა სასაზე მიეკრა და მძიმე განცდით მოსცილდა ესტრადის საფეხურს...

თ. ჯავარიძისა.

ნურას წახიდენ უბრალო სვლითა ფრთხილათ იარე დედამწაზე.

აქ, მიწის მტვერში, ლამაზ თვალების ნაშთები არის მიმობნეული, ველარ გააჩრე და უნებურათ გაითელება ეს განძეული.

თარგმ. ა. კელიძის.

დაბინდული შიკრება

შორეულ ფეჭრის ცილა სარკე ჩამუქდა სევდის შავი შებურვით; ლამის ბინდში ვარ მდგომარე ცალკე ავცისილი ბედის გოდება ჭრვით. რა კარგი იყო განცდის წამები, როდესაც სული ყვაოდა ბაღად, ოცნების ვართ გადანამები მიკოდა სახე მცინარე ლაღად! და მის ციალმა მიწარემ ჩაღრად გადამატარა დროთა სერები...

ჩაქრა ნათელი და შავი ჩაღრად მოსჩანან ახლა უბესურულ წვერბო...

უჭვრეტ სივრცე. წაივდე სადა?! საფლავთან ჰკოლდებს სული სწული, ბედთან დავკარგე რაც რომ მებადა და მეზავრად დამაჩა სევდა გრძნეული. მხიურ ზმანების ცილა სარკე დაბინდა დარდის შავი შებურვით, ლამის ბინდში ვარ მდგომარე ცალკე, აღწილი ბედის გოდება-ბედურვით.

ნიკო მარიაშვილი.

გაზაფხულის გოლოღანა

ზამთრის სიცივისგან გააოშილი ბუნება იღვიძებდა.

... მიყრებულ ბაღის კუნჭულში ვარდის ბუჩქს მზის სხივები ნახად შესცივინებდნენ... ვარდის ბუჩქი, სიამონებთი დამთვარა, თითქოს სალათას ქალ შეგებრო... თითქოს საუცხოვო სიზმარს წარეტაცნი.

ვარდის ბუჩქსდ ეკლებში გახეული კოკორი გამოჩენილიყო ოღბოლად.

მზემ აღერსით მიაფინა სხივები... ივით მზის სხივების სიხარულს შეუერთდა.. სცილოლბდა მოეშორებინა მოხვეული ეკლები...

სცილილბდა განთავისუფლებულიყო მათან... ეკლებსიგან დახშულს კარ შეეძლო თამამად გადაეშალა ფურცლები და გადაფურჩქენილიყო წარმტაც ვარდათ... მზის ღმილით და აღერსით დამთვარალმა მძლავრად შეანძობია თავისი ნაზი ფურცლები და სამში ეკლები თვითონვე გაიწიენ განზე...

განთავისუფლებულმა კოკორმა თავი ამაყად ასწია..



სონეტი

შევად მოსჩანს ჩემს თვალებში დაღლა.
საუბარი სამარესთან მელის,
საილაც მთებში, შორეულად, გაღმა.

გაიმართა მწუხარებით ბრძოლა,
შავ ღრუბლებით დაიფარა ველი,
აღბათ ველი უკანასკნელ გლოვისა.

მე მინდოდა ვყოფილიყავ მარტო,
და ფიქრები გამეგზავნა გაღმა,—
მაგრამ შენზე უზოგველად ვდარდობ,
მე ხომ შენთან განვიცადე დაღლა.

ჩემს სხეულზე გადაივლის მარცხი,
შენთან მოვალ გაყრუული აღრე,—
ლხინს გავატან ზეცისაკენ არწივს,
და შენს სახლთან ჩამოუშვებ ფარდებს.

ანრი მიხაელ



ლორდ ბაირონი 1788—1824)

ინგლისის სახელგანთქმული მგოსანი, გარდაცვლენად
ბიდან ასი წლის შესრულების გამო. ქართულად ნა-
თარგმნია მისი „ჩაილდ ჰაროლდი და სხ.

ქართული ლიტერატურა

„მნათობი“ № 1.

(მკითხველის შენიშვნები)

ნურაინ შეგვწამებს ტოლსტოელობას, თუ მი-
სი მხატვრული ნაწარმოებით ვისარგებლებთ. თავის
„აღღვამოს“ რუსი მხატვარი შემდეგი სიტყვებით

უხატავდა ზღაპრული ოცნების ქვეყანას.. სა-
დაც არ არსებობს, ტანჯვა..

სადაც სუფევს მხოლოდ სიყვარული და ბედ-
ნიერება..

გაბრუებულმა კოკორმა ეკლები მთლად მოი-
შორა..

თავდავიწყებამდის შეეყარებული მზად იყო
იასამანს შეერთებოდა მთელი თავისი არსებით..

იასამანი თანდათან უახლოვდებოდა..
თითქოს მზად იყო კოკორი გულში ჩაეყრა..

კოკორიც მთელი თავის სინაზით მისწრაფე-
ბოდა იასამანისკენ..

იასამანის სიახლოვე ვარდის კოკორს უფრო
და უფრო ათრთამ-აბრუებდა..

კოკორი სიამოვნებისაგან თრთოდა, წითლდე-
ბოდა, იფურჩქნებოდა..

მთლად დაბნედილი მიეკრა იასამანს, სიყვა-
რულით ჩახვდა თვალებში და..

შეერთა.. საშინლად აკანკალდა.. განშორდა
იასამანს..

ჩაიხვია ფურცლები და ჩაიმილა ეკლებში..

ნა—ზი.

ემზადებოდა გადა აუურჩქენლად..
მიყრუებული კუთხე ბალისა სამოთხის კუნძუ-
ლად გადაქცეულიყო..
ათსანაირი ყვავილი.. ათსანაირი ფრინველი
ილამაზ-ახმაურებდა იქაფრობას.. ვარდის ბუჩქის
მახლობლადაც, მშვენიერო, მალაღი, მძლავრი იასა-
მანი ატკორცნილიყო.
იასამანის გადაუჭრქვნილი ტოტი ვარდის კო-
კორს მიახლოვებოდა..
მისი სურნელებით დამიჯვრალი კოკორი გა-
კვირვებით იტკირებოდა გარშემო..
იასამანი ამაყად, კრლაც უცნაური ღიმილით
დასტკეროდა ვარდის კოკორს..
— რა არის?!. რა მესმის?!. ვინ არის აქ?!...
— მე ვარ! შენი თავყენანისმცემელი! შენი
მეკობარი!
შეერთა კოკორი... მიტრიალდა და დაინახა
იასამანი...
რლაც უცნაურმა, დამათრობელმა გრძნობამ
შეიპყრო ის... უფრო გაწითლდა, გასწორდა წელ-
ში, და შეუყვარდა იასამანი..
იასამანი უფრო და უფრო მომზიბლავად ჩას-
ჩურჩულებდა.



იწყებს: „რამდენდაც არ ცდილობდენ ადამიანები, რომელნიც რამოდენიმე ათი-ათასობით შეჯგუფდულნი პარტია მინიშლზე, დავიხიზნებდით ის მიწა-წყალი, სიდაც ისინი ცხოვრობდენ, ისე მოეჭრათ მიწა, რომ იქ არაფერი არაფიქსიო. მოეჭრათ ნორჩი ბალახიც და ესუნთქათ ქვა-ნახშირით და ნავთით, ჩამოეჭრათ ხეების შტოები და გაერკათ პირუტყვები და ფრინველები—გაზაფხული ქალაქშიაც კი მაინც გაზაფხული იყო“.

მიუხედავად ცნობილ პირობებისა, რომლის მიხედვით წყარო ეკონომიური სიდუხჭირეა, ქართული ლიტერატურა მაინც იციხვლობს და პოეტებს არ იყოს, ვინც ინატრის ამის სიკვდილს, უმაღლესე დამიწყებს“.

რას ვეძახით ქართულ ლიტერატურას? მშობლიურ ენაზე დაწერილ აზრთა და სურათთა კრებულს? ეს არ არის საქმარისი. ამავე დროს ის უნდა იყოს გამოძახილი ქართველი საზოგადოების რომელიმე ნაწილის, ან მისი მთლიანობის და მისი გონების და გულის მოთხოვნებიან უნდა აქმაყოფივებდეს.

პირველ წერილში («თ. და ც.» № 9) ჩვენ ვწერდით „კავკასიონზე“. ახლა მოკლედ შევეხებით „მნათობს“. უკანასკნელის რედაქცია აცხადებს, რომ მის აზრად აქვს „თავის გარშემო შემოიკრიბოს რევოლუციონური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები“. ეს განცხადება ერასის მხრივ თითქოს ვასაგებია, მაგრამ მეორე მხრივ, ის საკმაოდ ბუნდოვანია. ტერმინი „რევოლუციონური ინტელიგენცია“ ძველი რუსული ლიტერატურიდან არის ნასესხები. ის შეიძლება ითქვას, შედნაშენია ეგრედ წოდებულ რევოლუციონურ დემოკრატის“. დღევანდელ პარტიაში „მნათობის“ რედაქციას ძლიერ გაუჭირდება შემოაზნა იმ წრის, რომლის ფარგლებში უნდა მოყვდეს მხოლოდ „რევოლუციონური ინტელიგენცია“. მაგრამ ამაზე სიტყვის ნორ გაავრცელებით. გაიხსენათ გოთფრის სიტყვები: პირველიდან იყო საქმეო. უსათუოდ რედაქცია მომავალი გამოცემების შინაარსით დაგვანახებს, თუ ვინ ყოფილა „რევოლუციონური ინტელიგენცია“.

პირველ ნომერში იმეძღება დემნა შენგელიას „სანაფარო“. ის არ არის დამთავრებული. საერთოდ ამ ავტორზე უნდა ითქვას, რომ მის უფრო ეხერხებოდა მინიატურები. აქ ის „დღეების“, კვირების და თვეების“ ცვალებად სურათების ხატვით დანტერესებულა. აქ ერთი ხიფათს უნდა ერიდოს ავტორი. გაიდებულ მინიატურას არ უნდა მიეცეს მონოტონური მიმდინარეობა.

ტარასოვ-რადონიკს ეკუთვნის ფანტასტიური ამბავი—შოკოლადი, თარგმანია რუსულიდან. აქ საერთოდ უნდა ითქვას შედგევი. უცხოების ლიტერატურიდან უნდა თარგმნო, ან მოათავსო ხელნაწერიდან ნათარგმნი, ისეთი რამე, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შინაარსით და ფორმით. ამ მხრივ ტარასოვ-რადონიკის შოკოლადი

უნუგეშოა. მასალა აღებულია ჩეჩკის“ (ჯივრებიდან. თქვენ წინ არის ზედინი—ყოფილი მუშა—ამ დარწმუნებულენ ხელმძღვანელი. ის ტარასოვ-რადონიკის კეთილშობილ ადამიანად აღმოყავს. მასთან იმყოფება მისი თანამშრომელი „შავგერმანი, ბრილიანტის თვალანი ბეჭდით ხელზედ, რომელიც იღებს პორტსიგარს, ოქრის დიდი მონოგრაფით და თითს არტყამს უშინად“ ეს ბარიტია. აქ ავტორი ერთი ბეჭელი ფილოსოფოსს ბაძავს, რომელიც დასაბამიდან ორი მოწინამდგეგობის თანაარსებობას ასაბუთებდა: თეთრი, შავი; დღე, ღამე; სიცხე, სიციხე; კეთილი, ბოროტად და სხ. ავტორი ვერ მიხვდებოდა, რომ სიბოროტე და სიციხე მდგომარეობიდან არის დამოკიდებული. თქვენ რომ ყველაზე საცოდავ მოქალაქეს კომისიურად უბოძოთ, ის ჩქარა ბაყაყივით გაიბერება. ამავე დროს ყველაზე მედიდური უბრა-კომისარი შრომის ბიურავი რომ ჩაწერო, ჩქარა ის უნე მოიკაცება, როგორც თახმბოცი წლის დედაბერი. ორივე შემთხვევაში ეს შედეგია მდგომარეობით გამოწვეულ განცდის. სპიხოლოგია ანარკლია საზოგადოებრივი ფუნქციის. ეს ვერ შეუგნია ტარასოვს და მისი ესეიხვც საქმარისად შაბლონურია. ჩვენ ურჩევთ „მნათობს“ რედაქციას თარგმნოს ანატოლ ფრანსის ცნობილი „Les Dieux ant soif“ (ღმერთებს სწყურიათ). იქ ბევრი საჩოთირო სურათებია მოცემული, მაგრამ გრანოზ, რომ მომქმედი პირები სოციალური ჭილიის, რაც მექანიკურ ტილოლად გადაქცეულა, გავლენის ქვეშ მოქმედებდა ტრადიციულ მდგომარეობაში ვარდებთან. იქ ხელოვნურად ორ გეჩვენება, როდესაც ტერორის წარმომადგენელი ნამუსს ხდის ქალს, რომელიც ძმის (ნამდილად საქმარის) განთავისუფლებას თხოულობს, ხოლო მეორე დღეს ეშაფორტზე ავაზნის ტუსას. ეს სურათი უფრო ღრმავა, ვიდრე როდინიკის „ბრილიანტის ბეჭედი და ოქრის მონოგრაფია“.

უფროსი თვალსაჩინო ადელი უჭირავს პუბლიცისტიკას. აქ ვედავით კომუნისტების წერილებს, რომელნიც ბუნებრივად პროგრაფული ხასიათისაა. აქ ცოტად შეგვირდები ერთ წერილზე. ე. კიანაძე სწერს ინგლისის მეშათა მთავრობებზე. წერილი საკმაოდ ობიექტიურია და შინაარსიანი. სრული სიმართლეა, რომ ინგლისის მუშათა პარტია პრაქტიკულობით და რევორმისტული სპიხოლოგით ისეა გავლენილი, როგორც არც ერთი ევროპის სოციალისტური პარტია. ჩვენ ვიცით ამასთან, რომ ის საკმაოდ არის შეპყრობილი რელიგიური განცდით. ამაზე შეგვირდები. საქართველოს ზოგიერთ სოფლებში ეკლესიებით დაიკეტა, ინგლისში ლაზურისტ მუშები და კომუნისტები სახარებას იზიპირებენ. მიუხედავად ამისა ინგლისელი მუშა უდაოდ უფრო პროგრესული მოაზროვნეა, ვიდრე სამეგრელოს გლეხი. ყოვლად შეუძლებელია, რომ ბუნებაზე ჰქონდეს უფრო ნათელი წარმოდგენა იმ მეურნეს, რომელსაც წისკილში ზურავით დააქვს სინინდი, ბატონებს“ შელოცვებით კურნავს და რომლის ნამა-



გარი თითქმის ყოველ შემოდგომაზე წყალდიდობას მიაქვს, ვიდრე იმ ინგლისელს, რომელიც მექანიკურად აწყობდა მეურნეობას იქვეა და რომელმაც დიდი ხანია დაივიწყა ქაჯების არსებობა, რომელიც დ. შენგელაის გმირს—ციცინას—ასე უმწარებს დღევანდელს. თეთრი გუმბათიანი ეკლესია არ არის რეზიდენცია. ის მხოლოდ მისი ერთი გამოხატული მთავარია. მსოფლმხედველობა იქმნება საერთოდ საწარმოო ძალების გავლენის ქვეშ. საქართველოს პრიმიტიული მეურნეობა აუტოლეზობის კანონით ასახრდობს ცრუ-მორაწმუნეობას, ამ პირველყოფილ სტიქიას. დღევანდელი ეკონომიურ-კულტურული დონე ინგლისელ მოქალაქეს აჩრებს უფრო განვითარებულ რელიგიაზე და დღევანდელი სოციალური ურთიერთობა საესებით ვერ ათავისუფლებს თეოლოგიურ შეხედულობიდან.

კითხვა იბადება: დიდად უშლის ხელს ინგლისს მუშების სახარების კითხვა პოლიტიკურ ბრძო-

ლაში? არც იმდენად. ყოველ შემთხვევაში ისინი იმდენად უხვიერად მანინ არ იბრძვიან, როგორც საფრანგეთის ათეისტ-სინდიკალისტები. მოვიგონო მარტის სიტყვები: „ინგლისის ისტორიაა საკმაოდ დაბატოცა, რომ ლეთაებრივი გამოცხადების იდეა ზევიდან ბადებს მოწინააღმდეგე იდეას ქვევიდან ლეთაებრივი გამოცხადებისას. კარლოს პირველი ეშა-ფოტზედ ავიდა ქვევიდან ლეთაებრივი გამოცხადების მეოხებით“. მარქსს სახეში აქვს კროველის რაზმები, რომელთაც სახარებით ხელში გაანადგურეს ინგლისის დინასტია. თანამედროვე სოციალური ჰილილიც ინგლისში ადვილად წარმოსადგენია საღვთისმეტყველო სიტყვებით შეკამათებით, მაკლონალიდ ან სხვა ვინმე ითანეს სახარებით ხელში, ხოლო ბალდვინი—მათესი, ეს იქნება ინგლისის ისტორიის უკანასკნელი ლეთაებრივი გამოცხადების მგაზუმერება“.

ბიკტორ თევზია.

ჩვენი თეატრის ისტორიისთვის

თუ საერთო ჰერად არის ცნობილი, რომ მსახიობი უმეტეს წილად ნივთიერ შევიწროვებას განცდის, ეს ათეკად ხვდებოდა ჩვენს მსახიობს, თუ ეხლა არა, წარსულში მაინც.

ათეკი იყო მისი გავრცეება მით, რომ ნივთიერად არა უზრუნველყოფის გარდა, თავის დედა-ქაქაში მუდმივი ბინაც არა ჰქონდა წარმოდგენისათვის.

რეპეტიციისთვის ვილა სჩიოდა, თუ კი დაეთმო-ბოდა მას თეატრის ჩარდახი, ან, უკეთეს შემთხვევაში, ფორე თეატრისა. ყველა ბატონი იყო თეატრებში, გარდა ქართველი მსახიობისა. მას მხოლოდ მაშინ დაეთმობოდა სცენა, როდესაც არავის არ სჭირდებოდა და ეს კი იშვიათი იყო.

ღრმად მაქვს ხსოვნაში ჩაბეჭდილი შემდეგი პატარა ეპიზოდი ჩვენი დიდი არტისტების ცხოვრებისა: ეკრძო ბინა არის. შემოდგომის სდამოა. სეზონში უთეატროდ დარჩენილ არტისტებს თავი მოუყრიათ.

ესენი არიან ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია ნინო ჩხიძე, ვალერიან გუზია, კოტე ყიფიანი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოხერხებულ რეპეტიცია ექნებოდათ ეკრძო ბინის ერთ საშუალო ოთახში. მაგრამ ნინო ჩხიძის უხერხული მდგომარეობა უფრო განსაუთრებელია; მას თვისი შვილი, ორიოდ თვის ბავშვი, თან ჰყავს, დიასახლისის საწოლზე სძინავს.

დრო და დრო ბავშვის ტირილზე დედა—ნინო შვირბენს მეორე ოთახში, მიკრავს მკერდზე თავის საუნჯეს, დაამკაყოფილებს და ისევ თავის სასცენო როლს მიუბრუნდება!

გარედ კი კოკისპირულად წვიმს! აგერ მალე გათავდება რეპეტიცია, უკვე ღამეა და ნინომ კი

ეს ძუძუმწოვარა ასეთ ამინდში სახლში უნდა წაიყვანოს!

ბავშვი რად მიიყვანა?! მაშ როგორ მოქცეულიყო მსახიობი—დედა? ძაძუ ჰქონდა მოწოპობილი ბინა ისე, არა ჰყავდა ძიძა, ან მომეღვლი, რომ ბავშვი შინ დაეტოვებინა და არც საქმის დალატი შეეძლო!

და ბევრი, ბევრი მეუბნებოდა ჩვენი მსახიობის მოვლარეობაზე ის, როდესაც ნინომ შეფუთვნილი ბავშვი მიიკრა გულზე და წვიმიან სინელეში თავის ბინისკენ გასა გაუყენა.

ასეთი გავწვლითი ეწეოდნენ სასცენო უღელს ბურჯნი ჩვენი თეატრისა, ასეთი იყო მათი საქმის სიყვარული. სიმშვილი და უბინაობით გაჭირება მეგობრულად თან ახლდათ მუდამ, მაგრამ მაინც ებრძოდნენ შავ—ბედს, ქედს არ უხიბდნენ მას, აწარმოებდნენ საყვარელ საქმეს.

როგორი ღა იყო ის საქმე ჩვენთვის, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ?

რომელი ერისთვის არ იყო და არის თეატრი საქირო, აუცილებელი? მაგრამ ქართველებისათვის საქირო იყო თეატრი უაღრესად.

გარდა ხელოვნური ტაძრისა, თეატრი იყო ჩვენთვის სკოლა ქართული ენისა, ადვილი ერთად თავის მიყრისა, ქართულად საშუალოდ.

სიყრმიდანვე უცხო ენას მიჩვეულნი, ოჯახშიც ეს უცხო ენა იყო გამეფებული და აი სცენიდან მოსწილი ქართულის გველენით, თეატრში მაინც ვლანარაობდით ქართულად!

მაგრამ კანა მარტო ენას გვანარჩუნებდა თეატრი? თეატრი იყო, რომ ჩვენი ერის წარსულის დახატვით აწყვის შეგვადარებინებდა; მოგვავანებდა, თუ როგორი პატრონი ვიყავით ჩვენი თავისა

წარსულში, და როგორი მიზნები ვართ აწმყოში. გულდამწვარის პატრიოტებს კეთილშობილურად ააღივლებდა, ხოლო გულ-გაგრილებულს—გადაგვარებულს ცოცხათი მიხიც ჩააფიქრებებდა, დააიკ-ხეინდა.

ამ მხრივ, რა თქმა უნდა, უდიდესი ნიშნე-ლობა ჰქონდათ ისტორიულ პიესებს. არ დამავიწყდება „სამშობლოს“ პირველი შთაბეჭდილება!

ერთს დროს აკრძალავს განვილილი „სამშობ-ლო“, თითქმის ყოველთვის გაქედნილ დარბაზს იზი-ვავდა. ისე იყო ხალხით გაქედნილი დარბაზი მაშინ-იც.

ბერეი იყო ჩემთან ერთად, რომ „სამშობლო“ ჯერ არ ენახა.

აი იშლება ჩვენ თვალწინ შაჰის მეფეობა საქართველოში! ეს ხომ ასეა ეცხლაც! რა ვუყოთ რომ შაჰის მაგიერ რუსეთის მეფეა“.

გული ბოლმით იცხება მომქმედ მამულიშვილებ-თან ერთად!

გამოიჭრება სცენაზე გამწარებული დედა, ჰკოდებს, მოსთქვამს უდანაშაულოდ მოკლულ შვილს და.. გიტაცებს რალაცა ძალა, რომ გადაეშვა სცე-ნაზე, გაიზიარა დედის ხედრი და შეგბრძოლო მჭარაფლებს! სტირის დედა და სტირის მასთან თეატრი! ეს დედა ხდება მისთვის განხორციელება საქართველოს: „ასე ჰკმანავდა ის შაჰის კირთებ ქვეშ ოდენლაც, ასე იტანჯებდა ის მეფის უღელში ეხლაც“.

და შფოთავს, ლელავს მთელი დარბაზი!

მაგრამ აგერ შეთქმულნი მებრძოლნიც!

მტკიცედ სდგანან გაშლილ დროშის ქვეშ ფი-კის მისაღებდ და მონებული ხალხის ერთგულები-სათვის!

„ღმერთო ძლიერო, ეს ქვეყანა შენი ხედრი!“

— გაისმის ვედრება სიზონ ლეონიძისა და ელექტრონის ტოკად გივლის ტანში ეს სიტყვები, გეზიდებიან მეომრებთან შეთქმულობა ში სრულის გულით, გონებით, კრებლობით!..

...და მონებულ სამშობლოს ეწირებიან საუკე-თესო შვილინი და შენც აღმერთებ მათ, კვლ და კვლ მისდევ მათს სიბარულს, მათს ტანჯვას!

— „ღუენ, აღთქმა არ დაგაიწყდეს!“

ისმის მკვეთრი ხმა სეიმონისა და შენც ჩს-ქვალები ამ აღთქმით, შენი ქვეყნის წინაშე დაბა-დებიტვე თანდაყოლილი წმინდა აღთქმით, რომ მას არას დროს არ უღალატებ!

მაგჯომ აგერ მოისმის კნესა, გმინვა წამებუ-ლი მამულიშვილისა.. და საერთო ზართან ერთად, იბადება ის გრძნობაც, რომ ეს წამება არის გმი-რის მიერ დატყვებული საწინდარი ბრძოლისა— თავისუფლებისათვის!

ასეთი იყო შთაბეჭდილება „სამშობლოსი“ ჩვენზე.

ეს როდი იყო დრამის ზეგავლენით საკაცობ-რიო კითხვების გარშემო დატრიალებული განცდა-ნი! არა, ამ გრძნობას, ამ შთაბეჭდილებას პირდა-პირ ჰქონდა კავშირი სამშობლოს სიყვარულთან, მისი ბედით ტანჯულ გულთან!

ასეთი იყო გაკუნთა ჩვენი თე-ატრისა ქართულ-ზე. ტამარი იგი ხელოვნებისა ავაქიზებდა მისსულს, მოუწოდებდა მას საკაცობრიო იდეალებისაკენ, მაგრამ ამავე დროს უნახავდა მას ენას, აცნობებდა, აყვარებდა თავის თავს, აწველიდა ბრძოლას!..

ამიტომ დიდება და პატივი მათ, ვინც იმე-ნი განიცადეს და მათ გავცდვიენეს, ისეთს დროს სწიეს მიმე უღელი ქართველ მსახიობებისა და ახალ თობას ცოცხალი ჩაბარეს ჩვენი სამშობლო თეატრი!

ნინო ქ-ფანი

ნაამბლართა სსოჰნას

ქ. ნინოშვილი

(გარდაცვალებიდან 30 წ. შესრულების გამო).

საქართველოს შუქმევენ მოღვაწეთა შორის ეგ. ნინოშვილი ზოთინათობს ვით ბნელ დამეში შე-ქურ-ვარსკვლავი, გზის მაჩვენებელი.

კრიტიკამ მას უწოდა „ხალხის გულის მესაი-დუმლე“, ხოლო მეუბა მშრომელმა — ჩვენი ეგნატე!“

ოცდაათი წელიწადი გავიდა, რაც ტანზორ-ჩილო, სხეულით სწეული, მაგრამ სულით გოლიათი, უბრწყინვალესი კანდელი ტანჯულ წამებულ თანა-მოძმეთა, ჩაჭრა.

ვინ იყო იგი?

ნინოშვილი ეგნატე (ინკოროცეა), ბელეტრის-ტი და პირველი მარქსისტული ჯგუფის დამარსებე-ლი, დ. 1861 წ. ს. ჩიქვეთს, ჩოჩხათის საზ, ოზურ. მ.—გურიაში. 6 თვისას დედა გარდაეცვალა და მ-

მიდა ნინომ აღზარდა; მანვე ასწავლა ანბანი. 8 წლიდან იყო მოჯამაგირედ (მღვდელთან). აქ ისწავ-ლა ხეცურობი, ხელზე მოსამსახურედ (ხეცუის ვაჭრ-თან), მემძროხედ 1871—75 წ.წ. იმავე დროს წიგნს არ იშორებს). 1876 წ. სასწავლებელში უწესოების მეთაურობის გამო 4-ე კლასიდან დაითხოვეს და ისეთი მოწმობა მისცეს, რომ სასწავლებელში ვე-ლარსად შეესვლებოდა. 1879 წ. ქუთ. ჩაბარა სა-ხალხო მასწავლებლისი გამოცდა, ჩოჩხათის საზ-ის სკოლაში გამწესდა მასწავლებლად, შემდეგ ტელი-გრაფის ხელობა შეისწავლა და ტელეგრაფისტად შევიდა—1884 წ. ტფ. ა. კალანდაძის სტამბაში ასოთამწეობად მუშაობდა, დღეში 7 კაპ. 1885 წ. სოფელშივე 6 თვე სოფლის მწერლად იმსახურა ფუ-

ლის საშენებლოად, რომ სწავლა განეგრძო. 1886 წ. საფრანგეთის წაყვდა, შემოიარა პარიზში, მონაწილე იყო 6 თ. შემდეგ საქართველოშივე დაბრუნდა (კრ. გურიელთან მწერლად, სადაც წიგნების კითხვას დაეწეოდა). 1889 წ. ბათუმს გადავიდა ნავთის ქარხანაში შვედ მუშად, შემდეგ როტშვილის ქარხანაში 1890 წ. ნ. დოლობერგის კონტრაქტის დ. ზესტაფონს, აქედან — ტფილისს გადავიდა. ცხოვრობდა მ. ცხაკაიასთან ერთად მიხეილის პრ. (აწინდელი პლენიანიოვისა), ბნელ სარდაფში. ამ დროს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება შეტრიალებული იყო, მოღვაწეთა ყურადღება ბანკობის უტრიალებდა, თავად აზნაურთა ქონებრივ-ეკონომიკურ მოსულ იტყობას გლხედაცვაობასა და მუშა ხალხს მალილიდან დასცქეროდნენ, ხალხი გაურკვეველ ბრბოს წარმოადგენდა, ერად — თავად აზნაურობას სცნობდნენ. 6-მა გარს შემოიკრიბა მოწინავე ახალგაზრდები, პირველი მარქსისტული წრე შეადგინა — ს. ჯიბლაძე, ე. ჟორდანიანი, ვლ. დარჩაშვილი, რ. კალაძე, კ. ჩხეიძე, მ. ცხაკაია და სხ., ყველა ისინი იმ დროს ცხოვრების გერეხად აღიარებულნი, მათ ბეჩაევი ხალხის სამსახურის შენება გაუღვივა.

6-მა მალე აართო ალლი საზოგადოებრივი ცხოვრების უსწორმასწორობას, ერთა, ხალხთა და წოდებთა ფრთხილობის მიზეზებს და ამას ურკვევდა როგორც თავის მცირე წრეს სიტყვით, აგრეთვე ფართო საზოგადოებას წერით. წერვა დაიწყო 1888 წ. („თეატრი“ 1889 წ) მაგრამ თვისი ნაწამომებნი უმთავრესად 1892—93 წ. წ. შექმნა. სულ დასწერა 15 მოთხრობა, 2 პუბლიცისტური წერილი (ყველა დაბეჭდილია „ივ.“ — „კვ.“: პატარა კრებული პირველად გამოსცა კ. თავართქილაძემ, მეორედ მანვე ერთ ტომად ტფ. 1904 წ. გააჩიეს: 1) ივ. გომართელმა — „ხალხის გულის მესაიდუმლე“ 2) რუსულად — „ИгнатиЙ Ниновский“ 1905 წ. და სხვა.

ზოგი მოთხრობა გადათარგმნილია რუსულად, სომხურად, რამდენიმე პიესად გადააკეთეს („ქრისტინე“, „გოგია უჩაილი“, „მოსე მწერალი“, „სამწუხარო შედეგი“ და სხ.).

6-ის მოთხრობებში განისმის ჩივილი უსაპართლობასა და უკანონობაზე, გლეხთა დაუსრულებელ უზედურებაზე. 6-მა აღნიშნა ამის მიზეზი: სოციალური პირობანი და სამართლის წარმოების ნაკლებუვანებანი.

მთელი მისი სამწიგნობრო ნადავში სურათია ჩვენი ცხოვრებაში ახალი ხანის დაწყებისა, ახალი კლასების აღორძინებისა, ახალი ურთიერთობის დამყარებისა, ძველი შეხედულება რწმენა-ჩვეულებათა შერყევისა.

გარდაიცვალა ქლექით 1894 წელს 29 აპრილს, დაიკრძალა 7 მაისს ს. ჩოჩხათის ეკლესიის ვალავანში ერთ მთლიან ხსკან გამოკვეთილ კუბოთი. დასაფლავებანი დაესწრენ დაბა-ქალაქთა, რედაქციათა და სხ. წარმომადგენელნი.

6-ს სამარცხთან შემოიკრიბა პირველად 90-ნი წლების ახალი თაობა, მესამე დას და წოდებული, შემდეგ ს. დ. პარტია, რომლის სტუდენტობის დროს 6-ი იყო და ახალი დასის მისწრაფებანი თავის ნაწერებში გამოსატყვა.

თავისუფლად სამშობლომ ძველი (ბიუსტი) აღუშრატა სამარცხე, შემდეგ 1923 წ. ტფილისში, ალექს. ბაღში, მუშათა სახალხის წინსაპრობათა მთავრობამ დაუღდა ძველი, ხოლო ქართველმა მშრომელნი ხალხმა დიდი ხანა ნინოშვილს თვის გულში აუკრხელუტქმენილი ძველი.

6. სეიმიონიძე.

თუ სწორია ის აზრი, რომ ყოველი მოღვაწე თავის დროისგვარად უნდა შეფასდეს, მაშინ მსახოა ს. სეიმიონის — ს. პ. გოგოლაშვილის ამაყი ქართული სცენის წინაშე დღე-ნაყოფიერია. სასცენო ახლანებება, გამოთქმა, ხმა, გმირული გამოთქმე-ველება, მგზნებარეობა მისი თავის დროზე ქართულ სცენის მშვენიერად იყო მიჩნეული. მართალია, სასცენო განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ბუნებითი ნიჭისა და ალლის წყალობით ზოგიერთ როლების საუცხოო აღსრულებით იმ დროის თეატრში მასიარულე საზოგადოებას, განსაკუთრებით მდამობა ხალხს ხელოვნების ცეცხლს უქიდებდა. გარდა ამისა, ს. სეიმიონიძე ცნობილი იყო გარე უზნის სცენების ერთ დაუღალავ მუშაკთაგანად, რაიც არა ერთგზის აღუნიშნავთ მისი მუშაობის მომსწრეთ სავანებო აღრესებში, როგორც „ღარიბი ხალხის საკეთილდღეო უნაგარო შრომა“ სასცენო ასპარეზე, რითაც თვისი სახელი შეიტანა ქართული თეატრის ისტორიაში.

სეიმიონიძე ს. — სეიმიონ პავლეს ძე გოგოლაშვილი (1863—1920 — მსახიობი, დ. 1863 წ. 14 იანვ. ს. საწულიკითესი, ქუთ. მ. მამა მღვდელი ჰყავდა. სწავლობდა ქუთ. სასულიერო სასწავლებელში,



შემდეგ ტფილ. სამასწ. ინსტ-ში. ერთ წელს მასწავლებლობდა. 1888 წ. ან ქუთ. საოლქო სამმართველოში მსახიობურება, 1889 წ. ტფ. რკინისგზის სამმართველოში სცენაზე გამოვიდა 1888 წ. ქუთისში ეფთო კლდიაშვილის ხელმძღვანელობით (პავლეშვილის სახელით), 1889 წ. 8 დეკ. ტფილისში გასო აბაშიძემ გამოიყვანა („ბგავატე-ნი-11“ ე) ვახტა-

ნგის როლში) და სეიმიონიძედ მონათლა. ასრულებდა საგმირო-სამიჯნურო როლებს. 1889—1909 წ.

გამუშევრებთ დასწი იყო. მოხდენით შეუსრულებია: ლეენა ხიმშიაშვილი («სამშ.»), პაპუნა («ქართ. დედ.»), ლეენა («პატ. კაცი»), არსენა, პეპო, გიგუა, ეაკი, («ორი იბოლ»), კარლისი («ყაჩაღ.»), იაგო («ოტ.»), კინი, ვილი («სოდ. წარღვ.»), ერანი და სხ. დრამ. საზ-ბის დავალებით ერთხანს რეჟისორობდა ავჯალის აუდიტორიისა და ავლაბრის სცენის მოყვარეთა წრეებს, ხშირად სახალხო-სასულიო წარმოადგენებში მონაწილეობდა. 1909 წ. მიწვეულ იქნა ნაძალადის სახალხო თეატრის ახმენის ხელმძღვანელად და რეჟისორ-მსახიობად. (ნაძალადის პირველი წარმოდგენები თუმცა მუშებმა დაიწყეს 1894-95 წ. წ., მაგრამ მუდმივი ბინა მხოლოდ 1909 წ. გაიჩინეს). ამ თეატრის წარმატება ალორძინებისათვის უსასყიდლო შრომით ხს

თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის. ს-ის მეცადინეობით დამტკიცებულ იქნა ნაძალადის სახალხო საზ-ბის წესდება, მისივე მეტადინეობით ადგილობრივმა სახლის პატრონმა რკინის გზის ყოფ. მუშაქანებ დ. დოდაშვილმა შესწირა თავისი სახლი დინო გუზ-ბალით ღირებული 40 ათას მ. აქს სახლი ხალხისაგან მიიძიდა და ხალხსვე ეუბრუნებოდა. 1916 წ. შემდეგ სოპაში გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას, აქ დაარსა საგანგებო ქართული ენის სკოლა, სცენისმოყვარეთა წრე და თეატრი, გარდაიცვალა 1920 წ. 18 დეკ.

მისი შვილები არიან მსახიობნი თამარ გოგოლაშვილი და შალვა ხონელი.

იოსებ იმდაშვილი.

ქართულ მოღვაწეთა ლექსიკონი-დან.

„ტურა ქალები“

ვლადილო I მთქმელები.

მომხმადენი:

- გოგია ყრუაძე 60 წ.
- მარიჩე, ამისი ცოლი 60 წ.
- ზარასპი ჩხირაძე 45 წ.
- ომფოლიქე ტინაძე 50 წ. | გლეხები
- მღვდელი 60 წ.
- ჯაჯუხ კვარაცხელია, გოგიას ნათესავი 40 წ.
- ბერი 60 წ.
- მარიჩელი (მკითხავი) 55 წ.

სცენა: გოგია ყრუაძის ღარიბული მიწური სახლი. შუაზე ცეცხლი, ფარდის ხდისას სცენაზე არიან გოგია და ზარასპი.

ზარასპი. (მცირე პაუზის შემდეგ) ძან გამოჩურჩულებული კი ვეყოფილარო, ჩემო გოგია, ჩვენ სოფლის კაცები, ყველა ვგასულელებდა: ჩვენ არასფერი ვიცოდით, სხეებსაც არ უჯერავდით.

გოგია. (ცეცხლს უხსის და ყალბონს ეწევა) რაზე ბრძანებ, ზარასპი ჩემო, ამას?

ზარ. რაზედ დაა... აი მოწამეთში რომ იყო დავითი და კოსტაძე.

გოგ. (გააწყვეტინებს და ხელებს ააპყრობს) დეილოცა მისი ძალი და დიდება.

ზარ. დეილოცა კი არა, ის არ გინდა...

გოგ. (შეშინებული გააწყვეტინებს) ღმერთო შეუნდა, ღმერთო მოუტრევი ამ ცოდლებს, ამ ჯგუნფს, ამ მუტრუკს, ამ ვირს, ამ ზედადგს. არ იცის რას ამბობს.

ზარ. (თავისთვის) ძან არ მაქებს!

გოგია. (იმას) რამ გამოგაჩურჩოტა, შე საცოდაო! (ხელებს ააპყრობს) ღმერთო შეგინდა, შენი მუხლის შირიმე! (იმას) მიაფურთხე ემსჯეს შე უბედურსო შენა, ერთი გოდროი მიწა შექაქე მაგის თქვიზა.

ზარ. მიწამ შემიქაქა ყველა მღვდლები, ბერი, მონაზონი, დავალები და ეპისკოპოსები, თუ სადმე არიან ქიყანაზე ეს მატყუარები.

გოგია. (პირჯვარს იწერს) ღმერთო დიდებულ-ლო! (იმას) კაცო, ზარასპი, ვადაირვი თუ რას ჩურყსტოფ.

ზარ. რას ვამბობ და ავტ გეტყვი ყველაფერს.

გოგია. (შეშინებულია) არ მითხრა, არა, არ მინდა! (პირჯვარს იწერს). ღმერთო დიდებულო, ესე მაცუბოვარო, მარიამ დვთისმშობელო, ივანე ნათლის-

მცემელო, მიქვლგაბრიელ თავარ ანგელოზო, პეტრე მოციქულო, ყველა წმინდანებო (დაიხილებს) და წმინდანო ხორციელნო დავით და კოსტაძე.

ზარ. (გააწყვეტინებს) შე უტვინო, ხორციელი კი არა, გამოუმუტურებული ძვლებს მეტი არაფერი ყოფილა.

გოგია. დედა, დედა, დედა, რა მესმის, ვაი, ვაი, ვაი!

ზარ. ვაი შენ და თიჯაქარი! დამიდევ ყური და გმტყვი.

გოგია. არც ყურს დავიგდებ და ნურაფელსაც მეტყვი, (ააპყრობს ხელებს) ზარაშან, დეილოცა მათი დიდება, მარჯვნივ ვადმობრუნდა დავითი და კოსტაძე მარცხნივ და როგალი კი მოსავალი იყო.

ზარ. (სიცილით) ისე ვადმობრუნდი შენ ღოგინზე, რომ დაწვე, როგორც გინეი ვადმობრუნდენ. სად გინახავს, რომ ძვლები მისით ბრუნდებოდნენ?

გოგია. რისი ძვლები, რას ამბობ?

ზარ. (სიცილით) იმ უკბოში. სადაც დავითი და კონსტაძე ესვენა, ძვლები იყო ჩაყრილი.

გოგია. (ოხებით) რას მოგესწარ ამას, რას!

ხმა. (გარედან) გოგია, გოგია.

გოგია. (დგება, მივა კარებთან და გასძახებს) ვინ ბრძანდები?

ომფოლიქე. (გარედან) მე ვარ, ომფოლიქე, ერთი მახუ.

გოგია. (ვალის კულისებში) მობრძანდით, ომფოლიქე ჩემო, მობრძანდით.

ომფო. ზარასპს! შენც აქ ხარ ზარასპი ჩემო, გამაბრჯობა შენი.

ზარ. ვაიმარჯოს ჩემო ომფოლიქე.

გოგია. დამბრძანდით, დამბრძანდით.

ომფო რაღა დავაძანდე რა, იმ შეჩვენებულ მღვდელმა ქე მომასწურო სამი ბათმანი სიმინდის გამოორთმევს; სამი ბათმანი სიმინდი ჩემ ბაღნებს ერთ თვეს ეყოფოდა.

ზარ. მაგას არ ვჭივი! მეც ქე გავატანე იმ ღვთისაგან შეჩვენებულს. ამას (ურჩევებს გოგიას)



მოუწყევი კაცო და კინალამ მოძკლა, ამბობს: დავითი და კოსატილე შარშან გადმობრუნდა და ქაიზგი მოსავალი იყოფო.

ომფ. ისე გადმოუბრუნდა მღვდლებს გვარი და ჯილბაო, როგორც ისენი გადმობრუნდნენ... სამი ბათმანი სიმინდი კი არა, სული რატომ არამოგვართვა, ახი იყო ჩვენზე გველანარაკებოდენ ის კაცები: მღვდლები ნუ უჯერხაოთ, მაგენი ქრისტეს სახელით ტყავს გაძობენბო, მაგაამ ჩვენ არ გვეჯროდა.

ომფ. ჩვენ ხომ ვიძახდით დავითი და კოსატილე ხორციელი და კოველის შემდეგ არისო, ტყუილი გამოდგა. ამ წინახე ბალშევიკებმა ყველა საოფლიდან მოწამეთში მორწმუნე ხალხი მიიყვანეს. ჩვენი სოფლიდან გვიგზავნა ნიკოლა, დღევოს აღილუს რომ უწოდებდა ეკლესიაში. მერმეთ დღესწროთურმე მთელი სერესკელი ხალხი. ახადეს თავი ამ შენ ხორციელ დავით და კოსატილეს და აღმოჩნდა ამოხაბაკებული დამოუჩურჩუებული ძველები.

გოგია. (გაოცებული, თვალმ-დაჭყეტილი თავისდაუნებურად პირჯერის წერით) მერე არ გააქვავა იქნე ყველა?

წარ. მე და შენ რომ ვყოფილიყავით და ჩვენ აგვეზადა კუბო, მართლაც შიშისგან სული ამოგვძრებოდა ყურდღელით, მარა იგენს ფერიც არ შეცვლია იმიტომ, რომ იგენმა იცოდენ, თუ რა ხეთობები იყო შვიგ...

ომფ. გუშინ ჩამოვიდა ეს ჩვენი ნიკოლეც, მოუყარეს ხალხს თავი, მოვიდა და და ქვეყანა; სამტრედილიდან ამოვიდა წამომარდაგენილი კიკაჩიშვილი. გააღეს ეკლესია, შევიდა ხალხი შვიგ. წამოდა ასავლის კარებთან წამომარდაგენილი და დაიწყო ლაპარაკი; თქვა მარა რა თქვა! იმ მაისცხონებულმა ყველა მღვდლები ჯანდარბოში გააბრინა, გამოიწვია მღვდლები თავი ენართლებით, მარა შენც არ მოიკვეტე, ჩვენი მღვდლები ხმას არ იღებდენ, შეიმაღენ მივეჩ საეუროხველში და ენა მუცელში ჩაუფარდათ...

გოგია. არც ჩვენმა წმიდა გიორგიმ გააქვავა იქვე ყველა?!

წარ. გააქვავა კი არა! დეაკვირიდი ყველა ხატებს და ისე დეაკვლიანიებით თვალბი, როგორც ოჩხამურის გომბიოს. ამის შემდეგ, ომბოლიქე ჩემო, წავედით სახლში მე და ჩემი დედაბერი. ამ დიდმარხვაში შვიგ ორშაბათს და ქე გაიხელით ყველი, კვერცხი და დავაყოლიეთ ზედ მშვენიერი ღორის წაშხი.

გოგია. აბა სასწაული არ მოუხდენია? არავინ არ გააქვავა?

წარ. ისე იხარა მისმა მომგონმა!

გოგია. აბა არასფელი არ შენაძლება? მარა ძველები კი არა, წვერ-ულავაშინ ახალგაზნა არაინო და ხორტორა გამოიფუტურებულ ძველების მეტი არაფელი არის?

წარ. წვერ-ულავას, თურმე, პარიკმახერი ონი-ს, მე ნიკოლეშვილი უქციებო.

ჯაჯუ. (შემოდის) კიი გამარჯობა თქვანი.

გოგია. (აღგება) ომბოთამა ჯაჯუს გაუმარჯოს (ომფოლიქეს და ზარასნის ეცნობა) ჯაჯუ კაიარანცხელია, მერგოლიდან.

წარ. (ეცნობა) ომფოლიქე ტენიანე.

გოგია. დაბრძანდი, დაბრძანდი. (ყველანი სხდებიან).

ომფ. (მცირე პაუზის შემდეგ) დავითი და კოსატილე თურმე მეგრელები ყოფილა, გვარათ მხეიციები.

ჯაჯუ. ქო სკანი ქირი, ქო, ჩქიმი ძარკუ ხეციას სკუვლებირენა.

ომფ. (გადაღუნდაც) რა ბრძანეთ თქვენ ბატონო, ვერ გვეგონენ.

ჯაჯუ. ჩემი ძარკუ ხეციას შვილებია ქალადილიან.

გოგია. რაო? მეგრელიო ქალადიდანო?

ჯაჯუ. უნისოსუბო.

ომფ. რაო?

ჯაჯუ. აზნაური.

გოგია. რაო? აზნაურიო?

ჯაჯუ. ქო, ქო სი ვადიმღურე.

წარ. რა ბრძანეთ ბატონო?

ჯაჯუ. (მეგრული აკცენტით) ქალადილეია პატერი, ქალადილეი აზნაური.

გოგია. ვიი ჩემი გაჩენის დღეს, ქალადილეი ყოფილა, მეგრელი აზნაური.

მაკრინე. (კი გამარჯობა თქვენი, კიი გამარჯობა!

(შეხედავს ჯაჯუს) ვოი, შენ დაგენაცვლე, ჩემო ჯაჯუ (კოქნის გოგიას) კაცო გოგია, როგოზ დამგადარხარ, სტუმრებს ასე უნდა!

წარ. ქალბატონო მაკრინე, გოგია გამიჯავრდა, არ სჯედა, რომ ხორციელი დავით-კოსატილეს მაგებერთა აღმოჩნდა გამოხორტორებული ძველები.

მაკ. აბა ბეჩა, სასწაულია სწორეთი, სასწაული.

გოგია. (წყრომით) შენ რა იცი, შენც დამიწყე კურსონიკობა!

მაკ. კურსონიკობა ამის რათ უნდა, მეც ქე ვიყავი დღეს კრებაზედ, იმ კაცმა, რომ გამოაცხადა.

გოგია. ვინ კაცია, ან რა გამოაცხადა.

მაკ. ვინ კაცია და კიკაჩიშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე. გასაპარსავი ყველა მღვდლები... როგორ იყენენ გათათალეული საშობო ღორებსავით, მარა აწი ვასანასავს, რომ ვერ იშოვიან, ქე შვიმაქენებთ ლოყები მატაიკი ყლახიქსავით.

ჯაჯუ. ჩქი კულბო გვაგვეთით ოხგამე.

წარ. რას ბრძანებთ?

ჯაჯუ. (მეგრული აკცენტით) ჩვენ კულბათ გავაკეთეთ ეკლესია.

გოგია. რაო? რათ გავაკეთეთო? კუბოთო?

მაკრინე. კუბო კი არა, კულბათ გავაკეთეთო.

გოგია. რა არის მერე კულბო?

ომფ. რა არის და ტრიატო.

გოგია. მერე, რას აკეთებენ შვიგ?

წარ. რას აკეთებენ და დამენ წარმოდგენებს, კითხულობენ ისტორიას.

ჯაჯუ. კითხულობენ ლექციას.

ომფ. (თავისთვის) რას შემოვიჩინდა ეს მეგრეული! (ინას) რას ბრძანებთ ბატონო?

ჯაჯუ. კითხულობენ ლექციებს.

წარ. (თავისთვის) განათლებული კაცო ყოფილა. (გოგიას) ხო კითხულობენ ლექციას და ასწავლიან როგორც პატარებს, ისე დიდებს.

ს ა მ ი ა ს ტ რ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

რუსთველის თეატრი დიდხანა ასე არ ამეტყველებულა შრობიური განცდილია და ფერებით, როგორც სამშაბათს, აპრილის 22. ამ დღეს აქაქი ფალაშე დასდგა „სამანნიშვილის დედინაცვალი“, დ. დედინაციშვილის მოთხრობიდან შ. შარაშვიის მიერ სასცენოდ გადმოკეთებული. წარმოდგენის თან სდევდა მთხრობელი (ალ. ჟორჯოლიანი), რომელიც სასცენოდ გადმოღებულ სურათებ შორის გამოტოვებულ ადგილებს მოუთხრობდა დამსწრეთ. თხრობა და სანახაობა ერთი მეორეს ამკობდა.

ეს იყო ახალი. ქართველი მსახიობი ძლივს თვის ქერქში დავინახეთ,—და გასაოცარის სინამდვილითაც განასახიერეს ჩვენი ცხოვრების ცრემლნარევ სიცილით მოსასმენი ამბავი, ნამდვილი ტრაგედია. მხატვრული სრულქმედობით ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ აქ. ვასაძე და ალ. ჟორჯოლიანი, შ. დამაშვიდი და უშ. ჩხეიძე, პლ. კორიშვილი და... რომელიც ერთი ჩამოვთვალათ. თვით პლატონ სამანნიშვილის ნათხოვარი მკლე ცხენიც კი ამიერიდან გაუკვდავდა,—ესეც ახალი ყალიბი: სცენაზე ცხენებით მიმოგზაურობდნენ.

პიესის დადგმას დაკვირვება ემჩნეოდა, თუმც ცხოველყოფილობა აკლდა, დეკორაციებს მკვლევარი ელფერი დაჭრადა, თითქმის ნაჭერადაც მოეფიშვიშებინათ; აგერ-იგერ განათებაც მოიცელებოდა (რაც ვიცხო პიესების მოშაღება-დადგმაზე იხარჯება, მისი ნათალი რომ ამ ნაწარმოების მოშაღებისათვის მოენდომებინათ, — რეპერტუარის გვირგვინი შექმნებოდა).

სალაბო იყო ჯანსაღი სიცილისა, ყოფა-ცხოვრების ნამდვილი სარკე: გასართობი და ამავე დროს ჭკუის მასწავლებელი!

ი ო ბ ი.

ქუთაისის თეატრს ოთხი-ხუთი წელიწადია ასეთი შემადგენლობა და რეპერტუარი არ ღირსესია, როგორც წელს. იუზა ზარდალიშვილის გამოცდილება ხელმა გადალახა ყოველივე დაბრკოლება და საქმეს ღირსეულად გაუძღვა. უმთავრეს ძალას დასისას შეადგენდნენ: ვ. გუშია, ი. ზარდალიშვილი, ა. ბურუსიძე, მ. სარაული, შ. ჯაფარიძე, შ. ფრანგიშვილი, ვ. გამყრელიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, თ. აბაშიძე, თ. ჩარკვიანი, ელ. სიბოლა და სხ.

სცენაზე შეიქმნა დისკოპლინა, რაიც ქართველი მსახიობისათვის უცხო ხილია: წარმოდგენები იწყებოდა დროზე და თავდებოდა არა უგვიანეს თერთმეტი საათისა, მსახიობნი დანიშნულ ვადაზე მოდიოდნენ სამეცადინოდ. კვირეში იდგებოდა სამი პიესა. მთელი სეზონის განმავლობაში წარმოდგენილი იქნა 90 სხვა და სხვა პიესა. მრავალჯერ განმეორებული იქნა: ბერლი-ზმინია, სამანნიშვილის

დედინაცვალი, კაცის სამართალი, დაძირული ზარი, ჰამლეტი, მეფე ღორი, ხანუმა, კარგად შეკერილი ფრაკი და სხ. ხალხი ყოველთვის აუარებელი ესწრებოდა. საქმე სერიოზულათ იყო დაყენებული და მასწავლებელად განსვენებული იყო ამ სერიოზულობით. დიდი მადლობის ღირსია ადვოკატობი მთავრობა—როგორც აღმასკომი ისე ანგათლების განყოფილება, რომელმაც არაფერი დაიშურა საქმის მოგვარებისათვის და, შეძლებისდაგვარ, ხელს უწყობდა. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად იუზა ზარდალიშვილს მიენდო მომავალ ზამთრის სეზონისათვის დასის შედგენა და ხელმძღვანელობა.

ზ-ი რ ი ო ნ ს ხ ი პ ი რ ე ლ ი.

სოფ. პატარძელის (გარე კახეთში) მდებარეობს ტფილისიდან ორმოციოდ ვერსზე, მდ. იორის მარცხენ სხარის. მთელი სოფელი ხავერდით ვადაშლილია ტრიალ მინდორზე. კულტურის მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია: თუმცა სოფელს აქვს შრომის სკოლა და წიგნთსაცავ-სამკითხველო, მაგრამ ეს არ კმარა: ამ ვეებერთელა სოფელში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 1-200 კონს უდრის, ერთი ისეთი შენობა არ მოპოვებია, რომ სისტემატიურად წარმოდგენები იდგმოდეს, რომელიც სამეცნიერო დარგიდან ლექციები იკითხებოდნენ და სხ. ამ ოცდა ხუთიოდე წლის წინად მოქ. პ. კუშიტაშვილმა აავო ზემოდ ნასენებნი წიგნთ-საცავ-სამკითხველო; ამაზე უფრო დარეც დაარსდა დრამატული წრე, რომელიც ყოველ ზაფხულ წარმოდგენებს მართავდა, დღეს კი ყოველივე ეს ჩახშულია. მართალია გასულ წლის ზაფხულს სოფელში დაარსდა დრამატული საზოგადოება, აირჩიეს განკეობა, რომლის მოვალეობაც იყო რაიმე საშუალება გამოენახა თეატრის შენობის ასაგებათ, მაგრამ ყოველივე შრომა ამაო გამოდგა. თუმცა სოფელს ჰყავს შეფთა კომისია, რომელიც თავის წესებს არა ზოგავს სოფლის კულტურულ საქმის აღორძინებისათვის, მაგრამ ყოველი ეს უწყევია ზღვაში და ამით არავითარი თეატრის დარბაზი არ აიგება, თუ თვით ხალხმა არ გამოიღო თავი. რას ფიქრობენ სოფლიდან გასული ქალაქში დაწინაურებულნი?

ი ვ რ ი ს ხ ე ჲ ე ჲ ე ჲ .

გარე კახეთის სოფლები ახბულახი, ნინოწმინდა, გიორგწმინდა და სხ. კულტურულად ჩამორჩენილია, არსად არ მოპოვებია სახალხო სახლები. საჭირია ეს სოფლები ისეთ დონეზე მანძე დავაყენოთ სწავლა-განათლების მხრივ, როგორც მათი მეზობელი სოფლები: საგარჯო და ხაშში, სადაც ყველა კულტურული დაწესებულებანი არსებობენ.

ი ვ რ ე ჲ ო .

ავგალის პიდრო-ელხად. თეატრში პროლეტ-მწერალთა ჯგუფმა სამშაბათს, აპრილის 22-ს გა-მართა მჭირინაი საღამო. დაესწრენ ელსადგურზე მომუშავენი, დაახ. ორი ათასამდე მუშა, ამ საღამოსთვის ტუილისიდან საგანგებოდ აეტომობლით ამოვიდნენ მუშა-მწერლები: გ. ხეჩუაშვილი, გ. შინატხელი, აგრედვე—ი. გედევანიშვილი, რ. კალაძე, ს. ეული, პ. სამსონიძე და ნ. ინასარიძე. პირველი მიხსენებით გამოვიდა ს. ეული პროლეტარულ მწერლობის შესახებ, რ. კალაძემ წარმოსთქვა სიტყვა მუშათა კანონმდებლობის შესახებ, ი. გედევანიშვილმა—ლენინის დაბადება-აღზრდა და მოღვაწეობის შესახებ, შემდეგ—მუშა-პოეტებმა წარმოსთქვეს ლექსები, რაც ძლიერ მოეწონა ხალხს და მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. ნასიამოვნებმა მუშებმა სთხოვეს—ასეთი საღამოები ხშირად გაგვიმართეთ.

ცერტებს, დამამშვიდებელ სიმღერებს; რომ დაკემ-სილ გულს ცოტათ მინც ეფონოს.

მ. გარიყული.

სამტრეიაში არსებული თეატრის შეკეთებას შეუდგა პროუკავშირი. თეატრის შეკეთებას დიდს თანაგრძობით ეცილება აღმასკომის შემადგენლობა კიკაჩიშვილის თავმჯდომარეობით და პარტიკომი ილ. სტურუას თავმჯდომარეობით. თეატრის შეკეთება ამ მოკლე ხანში დასრულდება, რისთვისაც გადაღწეულია საჭირო თანხა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებისგან. სდგება დრამატურული წრე პროუკავშირის შერობასთან.

სეზონი ახლო ხანში გაიხსნება.

—ი.

გორის განათლების განყოფილების სათავეში მღვამე ამხ. ვ. ხოსბერიძე ხელოვნების მოყვარულია და ფრიად ზრუნავს თეატრის ბედ-იღბალზე. რეჟისორად მოწვეულია ალექ ჯაყელი, რომელიც საგმარო ენერჯის იქნეს მუშაობაში და მთელი რიგი საუკეთესო პიესებისა უკვე მზათ არის დასადგმელად: № 21 ჯგოთ, ქრისტიანე, სტუმარ-მასპინძლობა, კაი გრაზე, მეფის დალაქი და სხ. საქმეს აუერხებს მშოლოდ დეკორაციები და ტანისამოსის უქონლობა. ესეც ეწყობა, მაგრამ ძლიერ ნელის ნაბიჯით. საჭიროა მეტო სიოცოხლე საქმეში, საქმის მეტი და-შურება. საზოგადოება მზათ არის და მოუთმენლად მოელის რიგინათ შესრულებულ წარმოდგენებს.

აქვე შესდგა გუნდი საუკეთესო მოაღერალთა-გან და იმედა გვაქვს მოქ. რაზმაქ იმდენ უნარს გამოიჩინს მოკვასმენინებს დაშაკაყაულებელ კონ-

სახალხო თეატრში აპრილის 20-ს ქართული დრამის დასმა წარმოადგინა პირვილად გ. თახიშვილის მიერ ნათარგმნი პიესა ფრაპანისა „ზნეობის დამცველი“. გაბატონებული საზოგადოების გაბრუნება-ფარისეულობა და მისი აშკარა უზნეობის დამცველი მართველობა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მათგან დაწინაურული-ვაჟებდურებული ხალხი, —აი მოკლედ მისი შინაარსი.

პიესა დასდგა მ. ლვამიჩავამ. ხალხმა ტაშისცემით დააჯილდოვა მთარგმნელი და მოთამაშენი.

უნი

„გვირანი“-ს წვერთა საზოგადო კრება შესდგა აპრილის 20-ს. კრებამ მოილაპარაკა საორგანიზაციო საკითხების შესახებ და საგანგებო მოხსენება წარუდგინა სახალხო თეატრის გამგეობას მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ. მოხსენებას შემდეგ დაგებქდავთ.

ლითონის ჩამოყვანილი და გეგანიკური სახალხო

ა მ ს - ზ ა

„კ ა მ კ კ ა რ ი“

იღებს ყოველგვარ სამეჭიანიკო, საარმატურო საქმეებს (წყალსადენის, კრანების, შანგალეტების, ყურძნის სარწყავების და სხ. შეკეთებს).

საქმეები ხრულდება დანიშნულ დროზე, პირნათლად და ხელმისაწვდენ ფასებში.

მისამართი: თბილისი. პლენანიის ქ. № 59.

პატივისცემით: **თუშმალიშვილი.**